აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№5 (25.133) 9 თებერვალი, 2024 წ. 50 თეთრი

ბარამოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

მაღალმთიანეთში სტიქიას უმკლავდებიან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გამოდარების შემდეგ, აჭარის მთიანეთის გზებსა და სოფლებში მდგომარეობა საზარელი სანახავი იყო. პატარა ხევებშიც კი, სადაც წელიწადის ნებისმიერ დროს წყალი სანატრელია, ღელეები მოქუხდა. უწყვეტ რეჟიმში გზების წმენდის მიუხედავად, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხელვაჩაური-ხულოს მონაკვეთზე ჩამოწოლილი მიწის მასა ტრანსპორტით ნორმალურ გადაადგილებას ზღუდავდა. სოფელ პირველი მაისის ტერიტორიაზე მანქანები შემოვლითი გზით გადაადგილდებოდნენ. გზის ამ მონაკვეთზე მეწყერი 35 წლის წინათაც ჩამოწოლილა. მექანიზატორები მთელი დღის განმავლობაში გზის სავალ ნაწილს მიწის მასისაგან ათავისუფლებდნენ, რიგ მონაკვეთზე ასფალტიც აყრილი იყო.

8 თებერვალს დილით მხოლოდ მცირედი სამუშაოები რჩებოდა დასასრულებელი მთავარ მაგისტრალზე, მაგრამ ჯერ კიდევ რთული ვითარება იყო სამივე მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დასახლებულ უბნებში მისასვლელ გზებზე. გასატანი იყო საცხოვრებელ სახლებთან ჩამოწოლილი მიწის მასა.

საქმიანობა განაახლეს სამედიცინო დაწესებულებებმა. ამინდის გაუარესების დღეებში გრიპიც მასობრივად იყო გავრცელებული. განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციაში იყვნენ სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვები. დიდი სირთულეების წინაშე იდგნენ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხულოსა და შუახევის ცენტრების მონტიორები, თუმცა მათ 7 თებერვლის საღამოს საათებში შეძლეს ყველა აბონენტისთვის დენის მიწოდება.

ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების ხეობებსა და სოფლებში მისასვლელი გზების მიწის მასისა და თოვლისგან გაწმენდას მექანიზატორები ამინდის გამოსვლისთანავე შეუდგნენ. საგანგაშო მდგომარეობაა ზამლეთი-ხიხაძირის, შუახევი-შუბნის, ხულო-ღორჯომის, შუახევი-უჩამბის, ხიჭაური-ნაღვარევის, ქედა-მერისის, დანდალო-ხარაულის, სოფელ ნენიაში მისასვლელ საავტომობილო გზებზე, ხულოში ორ ლოკაციაზე (ჩაო, ძმაგულა) მეწყრები და ზვავები ისევ ჩამოწვა.

- 11 ერთეული ტექნიკით აწესრიგებდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის ხეობებსა და სოფლებში მისასვლელ გზებს, - გვითხრა გუშინ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილების უფროსმა ვიტალი ხიმშიაშვილმა, - 8 თებერვალს, დილიდანვე, განახლდა მუშაობა ხიჭაური-ნაღვარევის, შუახევი-შუბნის, ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში მისასვლელ გზებზე. დღის ბოლომდე 9 ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრებამდე მაღალი გამავლობის ტრანსპორტით გადაადგილება შესაძლებელი იქნება. კარგ სამსახურს გვიწევს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ტექნიკა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ყველა შესაძლებლობას ვიყენებთ, რომ კვირის ბოლომდე ყველგან შეუფერხებლად გადაადგილდეს ტრანსპორტი.

7 თებერვალს დღის პირველ ნახევარში შუახევის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მობილური კავშირები გაწყვეტილი იყო. ხარვეზი დღის მეორე ნახევარში გამოსწორდა.

* * *

გუშინ, ნაშუადღევს მეწყერი ჩამოწვა სხალთის ხეობის სოფელ ფაჩხის ტერიტორიაზე. კურცხალის მთას ათასობით კუბური მეტრი მიწის მასა მოწყდა და მდინარე ფაჩხისწყლის კალაპოტში გაიჭედა.

მიწის მასამ საფრთხე შეუქმნა სხალთის ყოფილი საუბნო საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს.

სტიქიასთან საბრძოლველად მობილიზებულია რამდენიმე ერთეული ტექნიკა. საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახები საიმედო ტერიტორიაზე გახიზნეს. საავტომობილო მიმოსვლა შეზღუდულია ხიხაძირისა და ხეობის სხვა სოფლების მიმართულებით. სტიქიის ადგილზე იმყოფებიან ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები. ყველაფერი კეთდება ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.

სალომე ზურაბიშვილმა ახალი პოლიტიკური პლატფორმის შექმნა დააანონსა 2

«თუ განვითარებაზე ვართ ორიენტირებული, ძველი ბათუმი უნდა დავაკონსერვოთ» 4

უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში 3

რა ვითარებაა აჭარაში გრიპის ვირუსის გავრცელების მხრივ? 5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სალომე ზურაბიშვილმა ახალი პოლიტიკური პლატფორმის შექმნა დააანონსა

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

6 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე წლიური ანგარიშით წარსდგა. ეს იყო მისი ბოლო ანგარიში პრეზიდენტობის რანგში, სადაც კრიტიკა აშკარად შეინიშნებოდა. პრეზიდენტის შემოსვლის დროს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ფეხზე არ წამოდგნენ, რასაც ოპოზიციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა

პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა მთავრობის წარმომადგენლები გააკრიტიკა და თქვა, რომ როდესაც ქალბატონი პრეზიდენტი დარბაზში შემოვიდა, ზრდილობის გამო მაინც უნდა წამომდგარიყვნენ ფეხზე.

„ქალი შემოდის, ბოლო-ბოლო, დარბაზში და ქართველი კაცი, იცოცხლე, ყელს კი ვიღერებთ სუფრაზე და რაღაც გადაგრეხილი ჯიხვის ყანწებით ვსვამთ ქალის სადღეგრძელოს, მაგრამ ქალებს მმართველი პარტია როგორ ექცევა, ჩანს“, - განაცხადა ელისაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ელისაშვილს ეტიკეტისა და მისალმების ფორმის დაცვისთვის მადლობა გადაუხადა, თუმცა სთხოვა, თავად მეტი ყურადღება მიაქციოს იმას, რაც პარლამენტის რეგლამენტითაა გათვლილი, კონკრეტულად კი დეპუტატის ჩაცმულობას.

მოხსენების დასაწყისში, საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ იგი პარლამენტის ტრიბუნასთან დგას, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის პრეზიდენტი.

„პარლამენტის ტრიბუნასთან დღეს ბოლოჯერ კი არ ვდგავარ, არამედ ამ ტრიბუნასთან პირველად ვდგავარ, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის პრეზიდენტი. ყველას გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას! ჩვენ ეს შევძელით! 2023 წელი, რომელიც ესოდენ დიდი მიღწევით და ახალი იმედით დასრულდა, გამოწვევების და სირთულეების გარეშე არ ყოფილა“, - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ევროპისკენ სწრაფვას დღეს საქართველოში რუსული გავლენების გაძლიერება და ანტიდასავლური რიტორიკის გაღვივება აფერხებს. პრეზიდენტი ამბობს, რომ ჰიბრიდულ სტრატეგიას ეფუძნება ფრენების აღდგენა, „ფეესბეს“ და სხვა უწყებების მაღალჩინოსნების შეუფერხებელი შემოსვლა, რუსული საკრუიზო გემის ბათუმში „პარპაში“, სტალინის ხატი სამების ტაძარში. როგორც მან აღნიშნა, ეს ყოველივე მიზნად ისახავს, საზოგადოებაში გაღვივდეს შუღლი, დაპირისპირება და შეიქმნას დესტაბილიზაციის საფრთხე.

პრეზიდენტმა გააკრიტიკა მთავრობაც და აღნიშნა, რომ დემოკრატიული რეფორმების ნაცვლად ძალაუფლების არნახულ გაძლიერებას ვხედავთ, სადაც მთავრობასა და პარტიას შორის გამყოფი ხაზი აღარ არის. მან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების განხილვასთან ერთად, მიმართა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილს და მოუწოდა, საზოგადოებას განუმარტოს საკუთარი სიტყვები კორუფციასა და საგარეო კურსთან დაკავშირებით, რომელიც პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელმა პოლიტიკაში დაბრუნებისას თქვა. მისი ანგარიშის ერთ-ერთი ადრესატი აღმოჩნდა ირაკლი კობახიძეც.

„მივმართავ მომავალ პრემიერს - თქვენ, ვისთანაც ასოცირდება გავრილოვის შემოშვება პარლამენტში, შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირება, ანტიევროპული რიტორიკა და იმპიჩმენტი, როგორ აპირებთ საზოგადოების ევროპული დაკვეთის შესრულებას და კერძოდ, რეკომენდაციების არჩევნებამდე განხორციელებას?“, - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

ირაკლი კობახიძის თქმით, ერთადერთი, ვისაც პასუხი აქვს შეკითხვებზე გასაცემი, ეს თავად სალომე ზურაბიშვილია, რადგან ის სხვადასხვა არასწორი ქმედებით გამოირჩევა და საზოგადოება მისგან ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

რაც შეეხება ოპოზიციას - მის წარმომადგენლებში ნამდვილად შეინიშნებოდა კმაყოფილება პრეზიდენტის საუბრიდან გამომდინარე. თავად პრეზიდენტმაც მხოლოდ ერთხელ ახსენა ოპოზიცია და ისიც მათზე რჩევების მიცემის კონტექსტში. მან ოპოზიციას პოლიტიკური ტაქტიკის შეცვლა ურჩია. „ქართული ოცნების“ კრიტიკის ფონზე, პრეზიდენტის ტონი შედარებით რბილი იყო ოპოზიციის მიმართ და ეს მარტივად შეინიშნებოდა.

„თქვენც გაკისრიათ გარკვეული პასუხისმგებლობა, დაასრულეთ ერთმანეთის ლანძღვა-გინება და ერთმანეთთან დაპირისპირება, რომელიც საზოგადოებაში უიმედობისა და ნიჰილიზმის გამღვივებელია. ჩემი საქმე არაა, გიბიძგოთ ან გითხრათ, გაერთიანდეთ თუ დაიშალოთ, მაგრამ გეუბნებით, რომ უნდა შეძლოთ ქვეყნისთვის მთავარ პრიორიტეტებზე შეჯერება“, - აღნიშნა მან.

პრეზიდენტის გამოსვლას დებატები მოჰყვა. ოპოზიციის ნაწილმა მისი გამოსვლა შეაფასა როგორც სახელმწიფო მოხელის გამოსვლა, მეორე ნაწილმა მას კარგი მსახიობი ქალბატონი უწოდა, რომელიც მთავრობის მითითებებს ასრულებს, ხოლო დანარჩენმა პრეზიდენტის თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდა.

პრეზიდენტის ანგარიშის შეფასებაში საკმაოდ მკაცრი იყო საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი, რომელმაც ზურაბიშვილს პოლიტიკური წარსული შეახსენა და სახელმწიფო ინტერესების ღალატშიც დაადანაშაულა.

„არ აყღერებს იმ საკითხებს, რომლებიც ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეულია დღეს და ლაპარაკობს იმას, რაც მის დამკვეთებს სჭირდებათ. ეს არ არის ქვეყნის ინტერესების მსახურება, ეს არის, პირდაპირ ვიტყვი, ქვეყნის ინტერესების ღალატი, როდესაც ის არ ლაპარაკობს იმ საფრთხეზე, რომელიც ქვეყანას აქვს ომში ჩართვასთან დაკავშირებით“, - აღნიშნა სუბარმა.

წლიური ანგარიშის დასასრულ სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ აპირებს, შექმნას „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“. როგორც მან აღნიშნა, მზად არის ამ პლატფორმის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებლობა აიღოს და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დააარსოს საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ევროპულ პრიორიტეტებზე ყველა კონკრეტულ შეთავაზებას მოუყრის თავს და დიალოგით და კონსენსუსის წესით ხელს შეუწყობს ერთობლივი დოკუმენტის ჩამოყალიბებას.

„ქვეყანას სჭირდება დამშვიდება და დაცულობა, რაც მთავარია, ქვეყნის მომავლის დანახვა და ამ ქვეყანაში საკუთარი პერსპექტივის აღმოჩენა და დაჯერება. მიზანი გაგვაჩნია - ევროპული მომავალი, ამისათვის მთავარ პრიორიტეტებზე შეჯერებაა საჭირო. ამის მიღწევა შესაძლებელია ერთობლივი პლატფორმის ჩამოყალიბებით. ეს არის ის, რასაც გთავაზობთ, შევქმნათ მომავლის ქარტია - „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის!“, - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

იხ. მე-8 გვ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აჭარაში სტიქიის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე სტიქიის შედეგად განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს. „რთული მეტეოროლოგიური პირობების და დიდთოვლობის გამო, მძიმე ვითარება გვაქვს რეგიონში. ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ წონიარისში მეწყერის ჩამოწოლის შედეგად, გარდაიცვალა პოლიციის დეპარტამენტის ქედის რაიონული სამმართველოს უბნის უმცროსი ინსპექტორი. ხულოს მუნიციპალიტეტში კი, სოფელ თხილვანაში, ზვავმა ორი ადამიანი მოიყოლა, გარდაიცვალა ქალბატონი. მეორე პირი კი უსაფრთხო ადგილასაა გადაყვანილი. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ გარდაცვლილი ჩვენი ორი მოქალაქის გამო და ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს. სტიქიის ადგილზე იმყოფებიან მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები, მუშაობს საგანგებო სიტუაციების სამსახური, მობილიზებულია ტექნიკა. მოსახლეობას ვთხოვ, გზებზე გადაადგილებისგან ამ ეტაპზე მაქსიმალურად შეიკავონ თავი. ყველაფერს ვაკეთებთ მოსახლეობის დასახმარებლად და სტიქიასთან გასამკლავებლად“, - წერს თორნიკე რიჟვაძე.

* * *

ამინდის გაუარესებას, კოკისპირულ წვიმებს ქედასა და ხულოში მეწყერული პროცესებისა და თოვლის ზვავების გააქტიურება, ადამიანის მსხვერპლიც მოჰყვა. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა თხილვანაში თოვლის ზვავმა იოსებ ბოლქვაძის საცხოვრებელი სახლი და დამატებითი სათავსო მოიყოლა. სახლში იოსებ ბოლქვაძე და მისი მეუღლე, 60 წელს მიტანებული ფატი ბოლქვაძე იმყოფებოდნენ. სტიქიამ ფატის სიცოცხლე შეიწირა. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისში (ბარამიძეების უბანში) მეწყერმა თემურ ბარამიძის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი მოიყოლა, საუბედუროდ, სტიქიას თემურის სიცოცხლე ემსხვერპლა. იგი შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქედის რაიონული სამმართველოს უბნის უმცროსი ინსპექტორი იყო. მეწყერი ჩამოწვა დაბა შუახევის რაიონულ ცენტრშიც, რის შედეგადაც დაინგრა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ყოფილი შენობა.

* * *

ბათუმის მერიაში, მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, მერი არჩილ ჩიქოვანი მოსახლეობას შეხვდა. მორიგ შეხვედრაზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, საუბარი შეეხო ისეთ თემებს, როგორებიცაა ავარიული სახლები და სოციალური პროექტები. გაიცა სხვადასხვა რეკომენდაცია ინფრასტრუქტურის მიმართულებითაც. არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, ისინი კვლავ გააგრძელებენ მოქალაქეებთან აქტიურ შეხვედრებს და მოსახლეობის გამოწვევებზე დროულ რეაგირებას. მერიაში შეხვედრის ჩასანიშნად უნდა დარეკოთ მერიის ადმინისტრაციაში: 0422 27 01 19.

* * *

ლეონიძის ქუჩის რეაბილიტაცია გრძელდება. ამ ეტაპზე, სამუშაოები ტაბიძიდან ხახულის ქუჩის მიმართულებით მიმდინარეობს. ბათუმის მერია იმ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩამონათვალს ავრცელებს, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს: ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩაზე ბეტონის საფარის დაგების წინამოსამზადებელი სამუშაოები ხორციელდება, ი. ჯავახიშვილის ქ. №73-ში სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, სანიაღვრე არხების მოწყობა გრძელდება წმინდა ნინოს ქუჩაზე, წყალსაწრეტი მილებისა და წყალშემკრები ღარების შეკეთება სრულდება ყაზბეგის ქ. №21-ში, დაზიანებული ფანჩატურების აღდგენა მიმდინარეობს მაიაკოვსკის ქუჩაზე, სანიაღვრე ჭები და ცხაურები იწმინდება ვაჟა-ფშაველას, ლუკა ასათიანის, პუშკინის, რურუას, ნონეშვილის, მესხის, ს. ხიმშიაშვილისა და გურამიშვილის ქუჩებზე, ქალაქის მასშტაბით ისხვლება ხე-მცენარეები. სამუშაოები უკვე დასრულდა რუსთაველისა და ტაბიძის ქუჩებზე, გრძელდება ნაგავშემკრები კონტეინერების რეცხვა-დეზინფექცია. სანაპირო ზოლის, ქუჩების, სკვერების, ეზოებისა და ტროტუარების დასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

* * *

ახალი სპორტული მოედნები მოეწყობა ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, ასევე ძმები ნობელების ქუჩასა და ხახულის მე-2 შესახვევში. ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს. ამ ეტაპზე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია მიმდინარეობს ჯავახიშვილის ქ. №73-ში. სამუშაოების ფარგლებში დაიგება ხელოვნური მწვანე საფარი, გამოიცვლება კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები, ლითონის კონსტრუქციები შეიცვლება ახლით, დამონტაჟდება ლითონის მავთულბადე. მუნიციპალური სერვისების სააგენტო 20 სპორტულ მოედანს ჩაუტარებს რეაბილიტაციას, ხოლო საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო - ძმები ნობელების ქ. №18-ის მიმდებარედ არსებულ სკვერს.

* * *

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედ 18 მიზნობრივ პროგრამას წელს სამი ახალი პროგრამა დაემატა. მერია წელს ჯამში 21 პროგრამას განახორციელებს, რისთვისაც ბიუჯეტით 3 მილიონ 700 ათასი ლარია გათვალისწინებული. ხელვაჩაურის მერიის ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელ რუსუდან გათენაძის თქმით, პირველი პროგრამა, რომელიც დაემატა, ითვალისწინებს 0-დან 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე (სამ და ოთხშვილიანი) ოჯახების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას. კერძოდ,სამშვილიან ოჯახს გადაეცემა 800 ლარი, ხოლო ოთხშვილიანს - 1000 ლარი. მეორეა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (18 წლამდე) ბავშვებისთვის საკუთრორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამა. რაც შეეხება მესამე პროგრამას, იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

* * *

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, ლატვიაში, რიგაში, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში BaltTour 2024 მიიღო მონაწილეობა. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყველაზე დიდ გამოფენაზე მათთან ერთად სხვადასხვა სახელმწიფო უწყება, ტურისტული კომპანია და სასტუმრო იყო წარდგენილი. საქართველოს სტენდთან სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქვეყნის ტურისტულ პროდუქტებს. გამოფენის ფარგლებში, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით შეხვედრები გაიმართა საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან. BaltTour-ის საიუბილეო 30-ე წლისთავზე გამოფენას 30-მდე ქვეყნიდან 25 ათასამდე ვიზიტიორი ეწვია.

* * *

29 იანვარს დაიწყო და 4 თებერვალს დასრულდა აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 7, 9, 11, 13 და 15 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელსაც მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ჩემპიონატის ორგანიზატორი აჭარის ჭადრაკის ფედერაცია გახლდათ, ხოლო ფინანსური მხარდამჭერი - სპორტის დეპარტამენტი. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში აჭარის ჩემპიონები გახდნენ: იური ევდოკიმოვი, ეკატერინე შერვაშიძე-კაპანაძე, თევდორე ცინცაძე, მარიამ გოგუაძე, რატი დიასამიძე, ნინო ნაკაშიძე, შოთა დოლიძე, ანეტა ქედელიძე, გიორგი გოგიაშვილი, მარიამ კალანდაძე. როგორც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ გვითხრა, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებული ჭაბუკი და გოგონა, თბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე თავის ასაკობრივ კატეგორიაში იასპარეზებს.

* * *

2023 წელს საქართველო - თურქეთის საზღვარზე კონტრაბანდის 341 შემთხვევა აღიკვეთა, - ამის შესახებ თურქული მედია იტყობინება. „კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში აღიკვეთა 341 მცდელობა და ამოღებულია 1 მილიარდ 79 მილიონ 396 ლირის ღირებულების პროდუქცია. გარდა ამისა, საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობისას დაიჭირეს 1 564 ადამიანი და აღკვეთეს მიგრანტების კონტრაბანდის 11 მცდელობა,“ - წერს haberler-ი თავის სტატიაში.

უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

შემოდგომაზე საქართველოს პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტი ეყოლება, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. როგორც ცნობილია, ხელისუფლების და ოპოზიციის შეთანხმების საფუძველზე, მაჟორიტარული სისტემა გაუქმდა. ეს მოცემულობა, გარკვეულწილად, ოპოზიციური სპექტრის წისქვილზე ასხამს წყალს პარლამენტში მოხვედრის თვალსაზრისით, ცხადია, 5-პროცენტიანი ბარიერის დაძლევის შემთხვევაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ოპოზიცია სათანადო სიმაღლეზე არ დგას. „ნაცმოძრაობაში“ განვითარებული მოვლენები ამის დასტურია...

რა გამოწვევების დაძლევა მოუწევს ხელისუფლებას უახლოეს მომავალში? რამდენად გამოხატავენ პარტიები ხალხის ინტერესებს? როგორი იქნება ძალთა გადანაწილება ახალ პარლამენტში? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრებით საჯარო მმართველობის დოქტორს, ბსუ-ის ლექტორ ***გიგა ფარტენაძეს.***

- ბატონო გიგა, როგორ დაახასიათებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, რა ასპექტებს გამოჰყოფდით?

- მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის არჩევნებამდე 10 თვეა დარჩენილი, ამა წლის იანვრიდან ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დღის წესრიგი სრულად დაიტვირთა შემოდგომაზე გასამართი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებით, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას და განსაკუთრებულობას. ფაქტობრივად, ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური პროცესები (სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერთა ვიზიტები და შეხვედრები რეგიონებში, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეების პოლიტიკაში წასვლა, საერთო ოპოზიციური კოალიციის შექმნის მცდელობები, „ქართულ ოცნებაში“ საკადრო ცვლილებები და სხვა) მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ყველა პოლიტიკური სუბიექტი უკვე აქტიურად ჩაერთო საარჩევნო მარათონში. ვფიქრობ, პოლიტიკური დღის წესრიგი კიდევ უფრო გახურდება, დაიტვირთება და ბევრი საინტერესო პროცესის მომსწრენი გავხდებით.

- პრემიერ-მინისტრის ცვლილებამ აზრთა სხვაობა გამოიწვია...

- სპეკულაციებისგან და „ალბათობის“ თეორიებისგან თავს შევიკავებ, თუმცა მიმაჩნია, რომ ნებისმიერ საპარლამენტო დემოკრატიაში რაც უფრო ხშირია პირველი პირების როტაცია, მით უფრო ეფექტური და შედეგებზე ორიენტირებულია თავად მმართველიც და პროცესიც. რაც შეეხება აზრთა სხვადასხვაობას პრემიერ-მინისტრის შეცვლასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ეს ნებისმიერი პირველი პირის ცვლილებას მოსდევს, თუმცა ერთია, საზოგადოებას არწმუნებდე და ხაზს უსვამდე ლიდერის ეფექტურობას, ხოლო მეორე - ამ ყველაფრის ფონზე ის ტოვებდეს თანამდებობას. ეს იგივეა, რომ შეცვალოთ ფეხბურთის მწვრთნელი მაშინ, როცა ამას არც შედეგები მოითხოვს და არც თავად შენი გუნდი. ეს ტოვებს გარკვეულ შეკითხვებს.

- ოპოზიციის აზრით, მმართველ პარტიაში შიდა დაპირისპირებაა - კობახიძის გუნდმა ჩაანაცვლა ღარიბაშვილის გუნდი...

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, როტაცია იქნება, ძველის ახლით ჩანაცვლება თუ ნებისმიერი სხვა კომბინაცია, რაც ხელს უწყობს გუნდის გადახალისებას, გამართლებული და კარგია. ოპოზიციის ამ დამოკიდებულებას შეიძლება ვუპოვოთ ერთი ახსნა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთლად ისეც არ არის საქმე, როგორც ამას თავად ამბობენ. რას ნიშნავს ახალი ლიდერი და ახალი სისხლი? ეს, წესით, უნდა ნიშნავდეს განახლებულ, გადახალისებულ გუნდს, რომელიც ლიდერის მიერ დასახული მისიის, მიზნების და ამოცანების შესრულებას შეასხამს ხორცს. რა მივიღეთ ჩვენ? დღეის მონაცემებით, გვეყოლება ახალი პრემიერ-მინისტრი და თითქმის უცვლელი მინისტრთა კაბინეტი (მხოლოდ თავდაცვის მინისტრი იცვლება). შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიახ, ირაკლი კობახიძის გუნდის გაძლიერებას ვხედავთ (პარლამენტის თავმჯდომარე მისივე გუნდის წევრია, თავად კი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი...), მაგრამ, მოდით, სხვა კუთხიდან შევხედოთ პროცესებს და დავსვათ კითხვა - ამ საკადრო ცვლილებით ხომ არ მოხდა ირაკლი კობახიძის გუნდის უფრო დასუსტება, ვიდრე გაძლიერება? ამ კითხვას ბადებს ის, რომ საპარლამენტო/საკანონმდებლო პროცესებიდან ის გადაინაცვლებს აღმასრულებელში ისე, რომ, ფაქტობრივად, იმ მინისტრთა კაბინეტთან მოუწევს მუშაობა, რომლის წევრებიც წინა პრემიერის ნდობით სარგებლობდნენ.

- მმართველობას ყოველთვის ახლავს გარკვეული პრობლემები, ჩვენს ხელისუფლებას რა გამოწვევების დაძლევა მოუწევს უახლოეს პერიოდში, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- დღეს მმართველი გუნდის წინაშე დგას ევროკომისიის მიერ გაცემული, სავალდებულოდ შესასრულებელი 9 რეკომენდაცია, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგს და ამას ემატება თავისუფალ და მშვიდ გარემოში ჩასატარებელი წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები. არ შეცვლილა თავად მმართველი გუნდი (თუ არ ჩავთვლით თავდაცვის მინისტრს), შეიცვალა მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი და მას ისევ იმ გამოწვევებთან მოუწევს გამკლავება, რომლებსაც სრულიად საქართველო და ევროპულ ინსტიტუტებში ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდამჭერი ლიდერები ელიან.

- თითქმის ყველა პარტია აცხადებს, რომ გამოხატავს ხალხის ინტერესებს, მაგრამ რამდენად ჩამოყალიბებული გეგმა აქვთ ქვეყნის განვითარების კუთხით?

- სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები არ არიან ამომრჩევლების მხრიდან (და პირიქით, არც ქართველი ამომრჩეველი - პარტიებისგან) განებივრებულნი, რომ მხარდაჭერა მოიპოვონ კონკრეტული იდეოლოგიისა თუ სამოქმედო გეგმის საფუძველზე. დღეს ქართველი ამომრჩეველი რომელიმე პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიური მხარდამჭერი კი არ არის, არამედ პერსონებს ანიჭებს უპირატესობას, ამიტომაც ქვეყნის განვითარება ამომრჩევლისთვის ასოცირდება არა პარტიულ გეგმებზე, არამედ კონკრეტული ლიდერების, პერსონების უნარსა და შესაძლებლობებზე, რის გამოც, ზოგადად, პარტიების იდეოლოგიური მხარდაჭერა ნაკლებია. სოციალური კაპიტალის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს სწორედ ნდობა წარმოადგენს, რაც პერსონების მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე პოლიტიკური სუბიექტებისადმი.

- სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, მხოლოდ ოთხი პარტია („ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“, „საქართველოსთვის“ და „ლელო საქართველოსთვის“) გადალახავს საარჩევნო ბარიერს. მსგავსი გამოკითხვები რამდენად სანდოა?

- ნებისმიერი ობიექტური სოციოლოგიური გამოკითხვა სანდოა, თუ მას ატარებს დამოუკიდებელი, ობიექტური ორგანიზაცია, იმ შემთხვევაშიც კი თუ გარკვეული ცდომილება მოსალოდნელია, რასაც ვერასდროს გამოვრიცხავთ. რაც შეეხება ჩამოთვლილ პარტიებს, უპირობოდ მხარდაჭერის მიხედვით, სიის სათავეში იქნება მმართველი გუნდი, შემდეგ „ნაცმოძრაობა“, ხოლო მე-3 და მე-4 ადგილებს, ალბათ, ის პოლიტიკური სუბიექტები გაინაწილებენ, რომლებიც არჩევნებისთვის მოახერხებენ ერთმანეთთან კონსენსუსის გამონახვას და გაერთიანებას. მიმაჩნია, რომ „ლელოს“ და „საქართველოსთვის“ აქვთ 5%-ანი ბარიერის გადალახვის რესურსი, თუმცა დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ. ამ ჩამონათვალს დაემატება კიდევ ერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია (ვგულისხმობ, გვარამია-მელია, ჯაფარიძე-ხოშტარიას გაერთიანებას).

- გვერდს ვერ ავუვლით „ნაცმოძრაობაში“ განვითარებულ მოვლენებს, შეძლებს ეს პარტია მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსის შენარჩუნებას?

- 12-წლიანი ისტორია ცხადყოფს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა და ამ სტატუსს ის ლეგიტიმურად სწორედ მისი ამომრჩევლებისა და შედეგების მიხედვით ირგებს, თუმცა პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია, თუ ოპოზიცურ ფლანგზე კონსენსუსი იქნება, ამ სტატუსის ახალ გაერთიანებასა თუ მოძრაობაზე გადაბარება შეიძლება ვივარაუდოთ.

- გვარამია-მელია-ჯაფარიძე-ხოშტარიას ოპოზიციურ პლატფორმას რა შანსი ექნება?

- მიმაჩნია, მხოლოდ ერთობით შეიძლება კონკრეტული ხელშესახები შედეგების მიღწევა, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც საარჩევნო ბარიერი 5%-ია და ეს ნამდვილად არ არის პატარა ციფრი. თუ მათი თვითმიზანი მხოლოდ ბარიერის გადალახვაა, მაშინ შეუძლიათ მარათონში ჩართვა, მაგრამ ეს პოლიტიკურ პროცესს არსებითად ვერ შეცვლის.

- დღესდღეობით რა სტადიაშია ოპოზიცია?

- ოპოზიციური ფლანგი სრულად გადასულია მმართველი გუნდის პოლიტიკური დღის წესრიგის კომენტირებაზე. ფაქტობრივად, ქართულ ოპოზიციას დღეს დღის წესრიგს უსაზღვრავს მმართველი გუნდი, რაც, ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ, ავად თუ კარგად, გამოსდით. ვფიქრობ, ესეც ერთგვარი კარგად დაგეგმილი სტრატეგიაა, რომელსაც პოლიტიკაში „ბანქოს ჩაწყობის“ პრინციპით ვიცნობთ.

- შეძლებს მმართველი პარტია ხელისუფლებაში მეოთხედ დარჩენას?

- პოლიტიკაში რაღაცის გადაჭრით თქმა არ არის რელევანტური მისი არაპროგნოზირებადი ბუნების გამო, მაგრამ, მოდით, განვიხილოთ, რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი და რა შემთხვევაში - შეუძლებელი (ანუ ხელისუფლებაში მხოლოდ კოალიციურად დარჩება). შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია შენარჩუნდება და ოპოზიცია ისევე იქნება წარმოდგენილი, როგორც დღესაა, ხოლო შეუძლებელი - იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ არენაზე გამოვლენ ახალი გაერთიანებები, რომლებსაც ძალუძთ არათუ 5 %-იანი ბარიერის გადალახვა, არამედ მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზება. ასეთ შემთხვევაში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩვენ გვეყოლება პირველი კოალიციური მთავრობა, რომელიც უპრეცედენტო გამოსავალი იქნება როგორც ყველა ბარიერგადალახული პოლიტიკური სუბიექტისთვის, ასევე, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვისაც.

- როგორ გადანაწილდება ძალები მომავალ პარლამენტში და ეს რა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული?

- ძალთა ბალანსი შედგება ზუსტად იმ პროპორციით, როგორსაც ქართველი ამომრჩეველი გადაწყვეტს. პროპორციული საარჩევნო სისტემის ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე სწორედ მისი წარმომადგენლობითობაა - დაკარგული ხმების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც მაჟორიტარულთან შედარებით რადიკალურად განსხვავებულია. რაც შეეხება ფაქტორებს, ამაზე, ვფიქრობ, ბევრი ვისაუბრეთ, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ ახალი გაერთიანების შექმნის მცდელობებს, რასაც შეუძლია რეალურად მოიტანოს საგრძნობი ცვლილებები ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგში.

- არის თუ არა საქართველოსთვის ოქტომბრის არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის?

- ეს არჩევნები, უპირობოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნებია მათ შორის, რაც ბოლო დროის ქართველ საზოგადოებას ჩაუტარებია.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: რუსეთ-უკრაინის ომის შედეგების მნიშვნელობა რამდენად გაანალიზებული აქვთ დასავლეთში?

- გაანალიზებულთან ერთად გააზრებულიც და გათავისებულიც აქვთ, რისი ნათელი მაგალითიცაა დასავლეთის მხარდაჭერა უკრაინისადმი რუსეთის მათ ტერიტორიაზე შეჭრის დღიდან დღემდე, თუმცა რამდენად საკმარისი და ეფექტური აღმოჩნდა ეს მხარდაჭერა ამ ომის დასრულებისა და რუსეთის უკან დახევისთვის, ნამდვილად საკითხავია. დასავლეთი მხარში უდგას უკრაინას, თუმცა ომი კვლავ მძვინვარებს. დასავლურ გაერთიანებებში ინტეგრაცია რჩება უსაფრთხოების გარანტიად და ასეთი გარანტიების უქონლობა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, ერთგვარი დაუცველობის განცდას იწვევს. ვფიქრობ, დასავლეთის მიდგომა ამ საკითხისადმი უნდა გადაიხედოს.

- დაბოლოს, რამდენად სერიოზულია საქართველოს საგარეო საფრთხეები და რამ შეიძლება გამოიწვიოს მათი ესკალაცია?

- საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია კვლავ გრძელდება. ჩვენი ქვეყნის საგარეო საფრთხე რუსეთი და მისი იმპერიალისტური პოლიტიკაა სამეზობლოში. მას არ სურს, საქართველო ეკონომიკურად, ინსტიტუციურად, სოციალურად ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო იყოს, როგორც ეს ევროპულ ქვეყანას შეეფერება, რადგან ძლიერი საქართველო ნიშნავს დეოკუპაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს, პოლიტიკურად ევროპასთან უფრო ახლოს, რუსეთისგან კი კიდევ უფრო შორს ყოფნას.

> *„ოპოზიციური ფლანგი სრულად გადასულია მმართველი გუნდის პოლიტიკური დღის წესრიგის კომენტირებაზე. ფაქტობრივად, ქართულ ოპოზიციას დღეს დღის წესრიგს უსაზღვრავს მმართველი გუნდი, რაც, ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ, ავად თუ კარგად, გამოსდით. ვფიქრობ, ესეც ერთგვარი კარგად დაგეგმილი სტრატეგიაა, რომელსაც პოლიტიკაში „ბანქოს ჩაწყობის“ პრინციპით ვიცნობთ*

„ნული პროცენტი – ოკუპაცია და ნული პროცენტი – სიღარიბე“

გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი განიხილეს. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ირაკლი კობახიძის თქმით, ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს ნული პროცენტი ოკუპაცია და ნული პროცენტი სიღარიბე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის საქმიანობა მიმართული იქნება ოკუპაციისა და სიღარიბის პროცენტული მაჩვენებლების განულებისკენ.

„დღეს საქართველოს 20% ოკუპირებულია და საქართველოს მოსახლეობის 15% სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ვიყოთ კმაყოფილი საკუთარი საქმიანობით და თვითკმაყოფილი საკუთარი თავით, რაც ამ ორ პროცენტულ მაჩვენებელს გავანულებთ. 0% - ოკუპაცია და 0% - სიღარიბე - ეს არის ქართული ოცნება და ასეთია ჩვენი ოცნების საქართველო.

საქართველოს მთავრობის საქმიანობა როგორც 2024 წელს, ისე 2025-2028 წლებში, თავიდან ბოლომდე, ამ ოცნების ახდენისკენ და ამ ამოცანების შესრულებისკენ იქნება მიმართული“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ პლენარულ სხდომაზე.

„თუ განვითარებაზე ვართ ორიენტირებული, ძველი ბათუმი უნდა დავაკონსერვოთ“

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ბოლო პერიოდში არაერთი საინტერესო პროექტის ინიციატორია და ცდილობს, რეგიონის ისტორიული ნაგებობები, ციხე-კოშკები, ნაეკლესიარები თუ ძველი ხიდები შეუნარჩუნოს მომავალ თაობებს. ბათუმი განვითარების ახალ ეტაპზეა, მაგრამ ბევრის კრიტიკის საფუძველი ხდება

როგორი ქალაქი გვინდა გვქონდეს? რატომ ვერ ახერხებს სააგენტო ხშირად ისტორიული შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციას? რას გეგმავს სამომავლოდ? - ამ და მკითხველისთვის საინტერესო სხვა თემებზე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ***ზაურ ახვლედიანი*** *გვესაუბრება.*

- ბატონო ზაურ, რა პროექტები განახორციელა სააგენტომ ბოლო პერიოდში და რომელს გამოარჩევთ მათგან?

- განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პეტრას ციხის რეაბილიტაცია. ბოლო წლებში ციხის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურა მოეწყო, აშენდა ვიზიტიორთა ცენტრი, 2 საექსპოზიციო ნაგებობა, კინოსაპროექციო, ლიმონარიუმის 4 ტერასაზე გაკეთდა ადაპტირებული სასეირნო ბილიკები და 6 ადაპტირებული ლიფტი შშმ პირებისათვის, მოეწყო ავტოპარკინგი. სამუშაოებისთვის 2 მილიონი ლარი დაიხარჯა. დღეს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - პეტრა საერთაშორისო სტანდარტის ტურისტული ობიექტია. ასევე, ერთ-ერთი საინტერესო და უმნიშვნელოვანესი პროექტია ხინოწმინდის ეკლესიის რეაბილიტაცია, რასაც საკუთრივ ძეგლის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა განაპირობებს. ეკლესია, სავარაუდოდ, IX საუკუნის ძეგლია და ბაზილიკური ტიპის ნაგებობას მიეკუთვნება. ხინოს შესახებ ისტორიული ცნობები პირველად ვახუშტი ბატონიშვილთან გვხვდება. XVI საუკუნიდან 1870-იან წლებამდე ხინოწმინდის ეკლესია საეპისკოპოსო ცენტრი იყო და ამდენად, მის რეაბილიტაციას განსაკუთრებული კულტურული დატვირთვა აქვს. ბათუმი აჭარის ტურისტული პოტენციალის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენია და შესაბამისად, ურბანული კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. მის რეაბილიტაციასთან ერთად, სააგენტო ზრუნავს ამ ძეგლების პოპულარიზაციაზე. ამ კუთხით გამორჩეულია „რომაული ბანაკის“ პროექტი, რომელიც გონიოს ციხეში განხორციელდა. აქ მოეწყო რომაული საცხოვრებელი კარვები, ამფითეატრი, ანგარი, სადაც განთავსდა რომაული საბრძოლო მანქანები - კატაპულტი, ბალისტა, ონაგრი. სასიამოვნო სიახლეა ის, რომ პირველად საქართველოში, გონიო-აფსაროსის მუზეუმის სტუმრებს რომაული იარაღების არა მარტო დათვალიერების, არამედ გამოყენების საშუალებაც აქვთ. წელს განახლდება გონიო-აფსაროსისა და პეტრას ციხის სამუზეუმო სივრცეები. ბოლო წლებში სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა. ამ მიმართულებით, აჭარის ტრადიციული კულტურის სამ ელემენტს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ესენია: „ბორანოს მომზადების წესი და ტრადიცია“, „განდაგანა და მისი ხალხური საწყისები“ და „ტრადიციული აჭარული ნაქარგობა“. ამასთან, სააგენტოსათვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის პროგრამების მხარდაჭერა, რაც დაეხმარება საზოგადოებას, ცხადად და თვალსაჩინოდ გააცნობიროს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა როგორც ღირებულებითი, ასევე, ეკონომიკური კუთხით და, რაც მთავარია, იზრუნოს მის შენარჩუნებაზე, მოვლასა და პოპულარიზაციაზე. 2023 წელს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ პირველად მოიპოვა ამერიკის საელჩოს გრანტი პეტრას ციხის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს აღმოჩენილი მოზაიკის კონსერვაციისთვის, რაც ძალიან გვახარებს.

- ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, ძირითადად, რა პრობლემებს აწყდებით?

- ხუთი წელია, უწყებას ვხელმძღვანელობ, სააგენტოში კი 2013 წლიდან დავიწყე მუშაობა ნებართვებისა და მონიტორინგის სამსახურის განყოფილების უფროსად. სხვადასხვა დროს ვიყავი აჭარის უმაღლეს საბჭოში თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი და ბათუმის საკრებულოს დეპუტატი, წლების შემდეგ კი ამ სამსახურის დირექტორად დავბრუნდი. ამჟამად დირექტორის მოვალეობას ვასრულებ. შემიძლია ვთქვა, რომ რეგიონში არსებული ძეგლების ყველა ჭანჭიკი ვიცი. საკმაოდ სენსიტიური და საპასუხისმგებლო სამსახურია. სააგენტოში ხშირია საბჭოების როტაცია, რომელიც წყვეტს, რომელ ობიექტზე გაიცეს სამუშაოების ჩატარების ნებართვა. ეს ეხება როგორც ძეგლს, ისე მის მიმდებარე ტერიტორიას.

- რამდენადაა დაცული ისტორიული ძეგლები ჩვენს რეგიონში?

- ძეგლები მაქსიმალურადაა დაცული. მათგან ძალიან ბევრია სარესტავრაციო. ჩვენი ბიუჯეტიდან გამომდინარე, ეტაპობრივად ხდება გარკვეული ძეგლების შესწავლა, ფიქსაცია. ბევრ საფორტიფიკაციო ნაგებობაზე, ციხე-კოშკზე ჩასატარებელია არქეოლოგიური გათხრები, რის შემდეგაც უნდა მოხდეს პროექტების შესყიდვა. გამომდინარე იქიდან, რომ გონიოს, პეტრას ციხეები, ასევე, ხიხანის ციხესიმაგრე ჩვენს ბალანსზეა, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ, თუმცა მაინც უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი. ეს, სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან დიდი სიფრთხილით, სეზონურად, ზაფხულში, მხოლოდ სამი თვის განმავლობაშია შესაძლებელი. წელს ვგეგმავთ მეთორმეტე საუკუნით დათარიღებული გვარას უნიკალური ციხე-კოშკის პროექტის შესყიდვას. სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, მის რესტავრაციასაც შევძლებთ. 2014 წლიდან დღემდე, თითქმის სრულად აღდგენილია თამარის ხიდები. შარშან ჩხერის ხიდიც აღვადგინეთ. წელს იგეგმება ბეღლეთის ხიდის რეაბილიტაცია, რითაც დასრულდება ეს პროექტი რეგიონში. ნაეკლესიარების რეაბილიტაცია საკმაოდ საფრთხილოა, თუ არ არის შენარჩუნებული მათი გარკვეული პროცენტულობა. საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობების რეაბილიტაციის ნებართვას გასცემს საქართველოს კულტურული და ეროვნული მემკვიდრეობის სააგენტო და მათი მითითებებით ვხელმძღვანელობთ, ზედმეტად არ ვერევით. ერთადერთი გამონაკლისი დავუშვით ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის რეაბილიტაციისას, რომლის სამუშაოები ორი წელია მიმდინარეობს. კამარა და გუმბათი შეკრულია, სამუშაოები მაისიდან განახლდება და მიმდინარე წელს დასრულდება. ამ სამუშაოების პარალელურად, ვგეგმავთ ჯამეების რესტავრაციას. ორის პროექტი გვქონდა შესყიდული, სამწუხაროდ, არცერთმა კომპანიამ არ მიიღო ტენდერში მონაწილეობა. ხის ჯამეებზე ძალიან შრომატევადი, ძვირად ღირებული და სპეციფიკური სამუშაოებია ჩასატარებელი. ამასთან, სპეციალისტების დეფიციტიცაა, რაც დამატებით თანხებთანაა დაკავშირებული. ახლა გადაფასდება ეს პროექტი და პრობლემა იქნებ მოგვარდეს. ასევე, მიმდინარეობს გონიო-აფსაროსის სამუზეუმო სივრცის განახლება და პეტრას ციხის ტერიტორიაზე ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა. გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ძველი ხის სახლი შეიცვლება რომაული ყაზარმით.

- რა ბიუჯეტი აქვს სამინისტროს და რის გაკეთებას გეგმავთ?

- შარშანდელი ბიუჯეტი 3 092 310 ლარი იყო, წელს კი 6 591 550 ლარით განისაზღვრა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება კულტურული მემკვიდრეობის 12 ძეგლს, რისთვისაც 5 221 550 ლარი დაიხარჯება, 810 000 ლარია გათვალისწინებული გონიოსა და პეტრას არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, განხორციელდება არქეოლოგიური ექსპედიციები (200 000 ლარი), ჩატარდება საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებები (360 000 ლარი), აჭარა წელს პირველად უმასპინძლებს რომის იმპერიის ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესს „Limes Congress 2024“.

- ბოლო წლებში ბათუმში მიმდინარე მასშტაბური მშენებლობებით ბევრი უკმაყოფილოა, თვლიან, რომ ცათამბჯენებმა ქალაქს იერსახე დაუკარგა...

- სააგენტო უამრავ პროექტს ახორციელებს რეგიონის მასშტაბით და ყველა კმაყოფილია, ბათუმში კი თუნდაც უმნიშვნელო ჩარევა ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე უკმაყოფილების მიზეზი შეიძლება გახდეს, აღარ ახსენდებათ კარგი გაკეთებულიც. ბოლო პერიოდში, მეტ-ნაკლებად, დავაბალანსეთ ეს საკითხი - ძეგლიდან 150 მეტრ რადიუსში ჩვენთან ათანხმებენ მშენებლობის ნებართვებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ძველ ბათუმში შეჩერებულია ახალი ნებართვების გაცემა, მოქმედებს 12-მეტრიანი შეზღუდვა, ინვესტორს აღარ უღირს იქ შესვლა და რაიმე პროექტის წამოწყება. დავიწყეთ ავარიული სახლების პროგრამა, რომელიც ისტორიულ სახლებს არ ეხება. ლუდის ქარხნისა და ახალი ბულვარის ტერიტორიაზე სართულების დამატების ნებართვებს გავცემთ იმ მოტივით, რომ ინვესტორი ძველ ბათუმში აღარ მოითხოვს 12 მეტრზე მეტი სიმაღლის შენობის მშენებლობას. ამით, ვფიქრობთ, ძველ ბათუმში, ძეგლის მიმდებარედ არსებული უსახური შენობების - „ბარაკების“ კაპიტალური შენობებით ჩანაცვლება მოხდება. არქიტექტურას და ფასადებს რაც შეეხება, ეს უკვე გემოვნების საქმეა. სამწუხაროდ, აქ დეველოპერიც და არქიტექტორიც სცოდავენ და არ არის მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ბრალი, თუ გარკვეული შენობების ვიზუალი და მასალა არასათანადოა. გარდა ამისა, ზოგ მესაკუთრეს ხის კარ-ფანჯარა არ მოსწონს, არადა, ძეგლის რესტავრაცია მის ამ მეთოდოლოგიით აღდგენას ითვალისწინებს. ბათუმი საუკუნეებს ითვლის და ძალიან ბევრ შენობას ტკეჩის კედლები აქვს. სულ სხვა მდგომარეობაა მონპელიეში, მარსელსა თუ ევროპის სხვა, უფრო ძველ ქალაქებში, სადაც სახლები ქვითაა ნაშენები. იქ, მე-16, მე-17 საუკუნეების სახლებზე კონდიციონერის გარებლოკის დამონტაჟებაც წარმოუდგენელია, ჩვენი მესაკუთრეები კი ცოტა სხვა კუთხით უყურებენ ამ საკითხს. ისინი უნდა გაერკვნენ, სურთ თუ არა ამ სტატუსის სახლებში ცხოვრება. თუ - კი, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რა ისტორია გავაცოცხლოთ და რა სარგებელი მივიღოთ.

- რა უნდა გაკეთდეს ბათუმის იერსახის შესანარჩუნებლად, რაც ასე იზიდავდა ყველას?

- ჯერ უნდა გავერკვეთ, რა გვინდა ბათუმისგან. ბევრს, ვისაც გული შესტკივა ძველ ქალაქზე, 1800 წლის პერიოდის ბათუმი უნდა. საუკუნეების წინანდელი ბათუმი იყო ბელეტაჟიანი სახლების ქალაქი საჯინიბოებით. სავაჭრო-საპორტო ქალაქი ასეთი უნდა დარჩეს? თუ განვითარებაზე ვართ ორიენტირებული, ძველი ბათუმი უნდა დავაკონსერვოთ, შევინარჩუნოთ ის სიკეთე, რაც გვაქვს და შემორჩენილ სახლებს რესტავრაცია ჩავუტაროთ.

- ზუსტად ამას ითხოვენ ისინიც...

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 200 მილიონი ლარი გამოყო ძველი ბათუმის რეაბილიტაციისთვის. მიმდინარეობს ძეგლებისა და მიმდებარე ტერიტორიების პროექტირება. ბათუმის მერიის, ჩვენი სააგენტოსა და „ქართუ ფონდის“ დაფინანსებით, ბოლო ხუთ წელიწადში უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი აღდგა. საკმაოდ რთული იყო მოსახლეობის დარწმუნება, რომ ძეგლი უნდა აღდგენილიყო, ბევრს ინვესტორების სარფიანი შემოთავაზების მოლოდინი ჰქონდა... წელს ბათუმში რეაბილიტაცია ჩაუტარდა დემეტრე თავდადებულის ქ. №10-ში, 26 მაისის ქ. №37-ში, რუსთაველის ქ. №31-ში, რუსთაველის ქ. №7-ში, კ. გამსახურდიას ქ. №9-ში არსებულ ურბანულ ძეგლებს, რომლებიც თავიანთი საფასადო სტრუქტურითა და მხატვრული გაფორმებით საინტერესო და მნიშვნელოვან შენობა-ნაგებობებს წარმოადგენენ. ამასთანავე, რამდენიმე შენობას მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. კერძოდ, გამოიცვალა სახურავები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა აივნებს. დასრულდა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი, შეიცვალა ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის სახურავი.

- წელს რას გეგმავთ ამ მიმართულებით?

- ხუთი ძეგლის რესტავრაციაა დაგეგმილი. სამწუხაროდ, ბევრი რამ ვერ გავაკეთეთ და ბიუჯეტში მოგვიწია თანხის დაბრუნება. ერთ მაგალითს მოვიყვან: მემედ აბაშიძის ქ. №4-ში მცხოვრები რამდენიმე მესაკუთრის მოთხოვნით, რომლებიც პრემიერის აპარატშიც კი აგზავნიდნენ საჩივრებს, რომ ძეგლი ენგრეოდათ, დავიწყეთ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა. 70 000 ლარად შევისყიდეთ იმ ძეგლის რესტავრაციის პროექტი. სამწუხაროდ, ამხანაგობის თანხმობის გარეშე მესაკუთრის სახლში ვერ შევალთ და ვერ დავიწყებთ შენობის რესტავრაციას, რაც უნდა სავალალო მდგომარეობაში იყოს იგი. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 26 მაისის ქ. №63-ში. ორსართულიანი, არაჩვეულებრივი, აგურებიანი ფასადის მქონე სახლის მცხოვრებლების ნაწილის მოთხოვნით, შევისყიდეთ შენობის სრული რესტავრაციის პროექტი. თითო ობიექტის სრულად აღსადგენად სახელმწიფოს 1 მილიონ 700 000 ლარი ჰქონდა გათვალისწინებული. უამრავი შეხვედრა გავმართეთ საბჭოს ჩართულობით. მოსახლეობის დიდი ნაწილი ობიექტის იგივე მეთოდოლოგიით აღდგენა-შენარჩუნების წინააღმდეგი იყო, ახალი სურდათ. ასეთ დროს ჩვენ ორ უკიდურესობაში ვვარდებით. პირველი - ძეგლი ინგრევა, სჭირდება სასწრაფო რეაბილიტაცია და მოსახლეობას არ უნდა, რომ იქ შევიდეთ იგივე პირობებით, მეორე - ვიყიდეთ პროექტი, რომელიც ვერ განვახორციელეთ. სახელმწიფო აუდიტი გვეუბნება, რომ გვაქვს არასწორი მენეჯმენტი, ვხარჯავთ პროექტში თანხას, რომელსაც რიგი მიზეზების გამო ვერ ვახორციელებთ.

- მოსახლეობის ნაწილს სურს, თავად ჩაატაროს მცირე სარემონტო სამუშაოები, რის უფლებასაც შენობის ძეგლის სტატუსი არ აძლევს...

- მოსახლეობას სამუშაოების ჩატარების უფლება ნებართვის გარეშე არ აქვს. იმასაც ამბობენ, რომ ლურსმნის მიჭედების ნებართვასაც არ ვაძლევთ. ჩვენთან ყოველდღიურად შემოდის განცხადება მაღაზიების, კაფეებისა და სახლების რესტავრაციისა და სახურავის შეცვლის მოთხოვნით. მთავარია, საპროექტო დოკუმენტაცია მოიტანონ ჩვენთან და ხაზინის 50-ლარიანი ქვითარი, სხვა მოსაკრებელი

იხ. მე-9 გვ.

> *„ბათუმი საუკუნეებს ითვლის და ძალიან ბევრ შენობას ტკეჩის კედლები აქვს. სულ სხვა მდგომარეობაა მონპელიეში, მარსელსა თუ ევროპის სხვა, უფრო ძველ ქალაქებში, სადაც სახლები ქვითაა ნაშენები. იქ, მე-16, მე-17 საუკუნეების სახლებზე კონდიციონერის გარებლოკის დამონტაჟებაც წარმოუდგენელია, ჩვენი მესაკუთრეები კი ცოტა სხვა კუთხით უყურებენ ამ საკითხს. ისინი უნდა გაერკვნენ, სურთ თუ არა ამ სტატუსის სახლებში ცხოვრება“*

რა ვითარებაა აჭარაში გრიპის ვირუსის გავრცელების მხრივ?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ზამთარი გრიპის გარეშე არ არსებობს და მის დადგომასთან ერთად ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვიც იზრდება. აღნიშნული ვირუსი განსაკუთრებით ბავშვებისთვის და მოხუცებისთვის არის საშიში, რადგან ისინი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ

ვირუსის სამართავად აუცილებელია ექიმის რეკომენდაციის სრულფასოვნად დაცვა და ვაქცინაცია, რაც გრიპის ვირუსის პრევენციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

*რა მდგომარეობაა აჭარაში ვირუსების გავრცელების მხრივ და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას? აღნიშნულ საკითხებზე აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელ **რუსუდან შავიშვილს** ვესაუბრეთ.*

- ქალბატონო რუსუდან, ამ სეზონზე, ძირითადად, რა ვირუსებია გავრცელებული?

- ზოგადად, არსებობს ცნება „რესპირატორული დაავადებების სეზონური პერიოდი“, რომელიც ყოველთვის არის მიმდინარე წლის მე-40 კვირიდან და გრძელდება მომდევნო წლის მე-20 კვირამდე. ეს პერიოდი დადგა 2023-ში და გაგრძელდება მაისის ბოლო კვირამდე. მისი გავრცელება კლიმატურ ცვლილებებს ემთხვევა და ვირუსი აქტიურდება, შესაბამისად, რესპირატორული ინფექციები წინა პლანზე გადმოდის. სამწუხაროდ, საუბარი არ არის რომელიმე ერთ ვირუსზე, ეს ვირუსების მთელი ჯგუფია, რომლებსაც კლინიკურად თითქმის ერთნაირი სურათი ახასიათებს: მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, ხველა, სურდო, ღებინება, სახსრების ტკივილი, შეიძლება იყოს მუცლის ტკივილი და ასე შემდეგ, რადგან ყველა თითქმის ერთნაირი სიმპტომებით გამოირჩევა, ძალიან რთულია მხოლოდ ჩივილების საფუძველზე დავადგინოთ, რომელ ვირუსთან გვაქვს საქმე. ამისთვის საჭიროა ლაბორატორიული დიაგნოსტირება, თუმცა ყველა შემთხვევის დიაგნოსტირება არ ხდება. ვაკვირდებით ეგრეთ წოდებულ საყრდენ ბაზებს, რომლებიც შერჩეულია დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ. ასეთი საყრდენი ბაზა ბათუმში არის იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი, რეფერალური საავადმყოფო და „ევექსის“ პოლიკლინიკა, სადაც კეთდება ტესტები. ყოველკვირეულად აქედან ვადგენთ, რომელი ვირუსი დომინირებს. მონაცემები ცვალებადია, შეიძლება წინა კვირაში სხვა ვირუსი დომინირებდეს და შემდეგ კვირაში - სხვა. გასულ კვირას დომინირებდა გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებები.

- განსაკუთრებით ვისთვის არის საშიში გრიპის ვირუსი?

- საშიშია ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, ასევე, რისკის ჯგუფში არიან წლამდე ასაკის ბავშვები, ხანდაზმულები, შაქრიანი დიაბეტის მქონე ადამიანები, ორგანოგადანერგილები, C და აივ-ინფექციით, ასევე ტუბერკულოზით დაავადებულები, დიალეზზე მყოფები და ორსულები. ეს ჯგუფი ყველაზე მეტად ითვისებს ვირუსებს და მათი რაოდენობა სტატისტიკურად მაღალია. არსებობს დეფინიცია III და SARI. III არის ისეთი კლინიკური გამოვლინება, რომელიც შეიძლება მართო ოჯახის პირობებში. ამ შემთხვევაში, ოჯახის ექიმი, რომელიც იცნობს თავის ქრონიკულ პაციენტს, ნიშნავს მკურნალობას, მაგრამ SARI არის ისე მძიმედ მიმდინარე შემთხვევა, რომელიც აუცილებლად საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას.

- თუ შევადარებთ გასულ და მიმდინარე წლებს, რა მონაცემები გვაქვს - რომელია უფრო მომატებული?

- მატებაა ორივე მიმართულებით. ორივე შემთხვევაში აუცილებელია სწორი მართვა. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა სეზონი თითქოს ერთნაირია, მაგრამ სტატისტიკურად სხვადასხვა მონაცემი გვაქვს. არის შედარებით მშვიდი სეზონები, როდესაც ვირუსის ტალღა მიდის თანაბარი ტემპითა და კლებით, მაგრამ არის ისეთიც, როდესაც პიკს აღწევს. ჩვენ მოსახლეობას ყოველთვის ვაფრთხილებთ, რომ თვითმკურნალობა არ არის სასურველი. სიმპტომების გამოვლენისთანავე მიმართავენ ანტიბიოტიკების გამოყენებას, რაც დამაზიანებელია. ანტიბიოტიკი არ მოქმედებს ვირუსებზე, ის მოქმედებს მხოლოდ ბაქტერიულ ფლორაზე და მეტიც - ანტიბიოტიკების გადაჭარბებით მიღება ძალიან მავნეა ჯანმრთელობისთვის.

- აჭარაში როდის იწყება გრიპის სეზონი?

- ჩვენთან გრიპის სეზონი იანვარ-თებერვალში. თავიდან ნელა იწყება, თანდათანობით იკრებს ძალას და ამ ორი თვის განმავლობაში გვაქვს პიკური მონაცემები.

- პრევენციული ღონისძიებებისთვის რა არის აუცილებელი?

- პირველ რიგში, აუცილებელია სითხეების დიდი რაოდენობით მიღება და პირადი ჰიგიენის დაცვა. სასურველია, ვირუსის მქონე ადამიანი იზოლირებული იყოს და მაქსიმალურად დაიცვას გარშემომყოფები, განსაკუთრებით მოხუცები. ამ პერიოდში არასასურველია თავშეყრის ადგილებში სიარული, რათა საკუთარი ჯანმრთელობა არ გაირთულოს და არც სხვების ჯანმრთელობა ჩააგდოს საფრთხეში. ასევე, პრევენციულ ღონისძიებად ითვლება გრიპის საწინააღმდეგო აცრა.

- როდის არის გრიპის საწინააღმდეგო აცრის ჩატარება სასურველი?

- აღნიშნული აცრის ჩატარება იწყება სეზონის დაწყებამდე, რადგან მინიმუმ ორი კვირა სჭირდება იმუნიტეტის გამომუშავებას. ის ჯგუფები, რომლებიც ზემოთ ჩამოგითვალეთ, აცრის მხრივაც პრიორიტეტულია.

- რამდენად არის მოთხოვნა გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო აცრაზე?

- დიდი მოთხოვნა გვაქვს. ეს ვაქცინა 2014 წლიდან შემოდის საქართველოში და ყოველწლიურად მზარდია. 2023 წელს 19 ათასმა ადამიანმა გაიკეთა ვაქცინა. ზაფხულშიც მოდიან მოქალაქეები და კითხულობენ, როდის შეუძლიათ ვაქცინაციის ჩატარება. ვაქცინაცია სასტარტო პერიოდში, რისკის ჯგუფებთან ერთად, გათვლილია იმ ადამიანებზე, ვისაც მეტი შეხება აქვს საზოგადოებასთან, მაგალითად: პედაგოგები, ექიმები, საჯარო სამსახურში მყოფი ადამიანები და, რა თქმა უნდა, მოქალაქეები. სამწუხაროდ, ორსულებში არ არის მოთხოვნა. ვფიქრობ, ეს იმიტომ ხდება, რომ, შიშთან ერთად, ვაქცინასთან მიმართებაში ცოდნის ნაკლებობაა. თავად ჩვენი კოლეგები უნდა იყვნენ მეტად აქტიურები და უნდა უხსნიდნენ ორსულებს, რამდენად მნიშვნელოვანია აცრა მათთვის.

- რას აკეთებს აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი იმისთვის, რომ მოქალაქეებს აცრის სურვილი გაუჩნდეთ?

- თუ მოქალაქეებს სურთ აცრა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, რადგან ყველა პლატფორმას ვიყენებთ მათი ინფორმირებისთვის, მაქსიმალური კომუნიკაცია გვაქვს მედიასთან, ვმართავთ შეხვედრებს. ყოველთვის, ნებისმიერი საშუალებით ვცდილობთ, ავუხსნათ მოსახლეობას, რას ნიშნავს აცრა და რამდენად მნიშვნელოვანია იგი. ამას ამტკიცებს იმ მოქალაქეების მზარდი რაოდენობა, რომლებიც ნებაყოფლობით იკეთებენ აცრას. მინდა ვთქვა, რომ ვაქცინის ხარისხი არის უმაღლესი და ეს განაპირობებს მოსახლეობის მოთხოვნასაც. ჩვენ, ასევე, ვტვირთავთ ინფორმაციას სპეციალურ პორტალზე, თუ როგორ მიმდინარეობს ქვეყანაში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ეს არის ძალიან სერიოზული და საპასუხისმგებლო პროცესი ყველა იმ კამპანიასთან ერთად, რასაც ვეწევით. ძირითადად, ჩვენს ქვეყანაში ორი ვაქცინა შემოდის - საფრანგეთიდან და ნიდერლანდებიდან და არ აქვს მნიშვნელობა, რომელს აირჩევს მოქალაქე, თუ, რა თქმა უნდა, არ აქვს კვერცხის ცილაზე ალერგია, რასაც წინასწარ ვარკვევთ.

- კორონავირუსთან დაკავშირებით რა სიტუაციაა აჭარაში?

- შემცირებულია კორონავირუსის შემთხვევები და მინდა გითხრათ, რომ თავად ვირუსის ბუნებაც დაკნინდა. მან დაკარგა ძალა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჰიგიენის ნორმები არ დავიცვათ ან პირბადე საერთოდ აღარ გამოვიყენოთ.

- რომელ საავადმყოფოებშია მეტი მიმართვიანობა გრიპის ვირუსთან დაკავშირებით?

- ძირითადად, ბავშვთა დაწესებულებებში - როგორც იაშვილის, ისე რესპუბლიკურ და ინფექციურ საავადმყოფოებში, მეტწილად, წლამდე ასაკის ბავშვებში.

- ამ ეტაპზე რა პროგრამებს ახორციელებს აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი?

- ცენტრი მნიშვნელოვან პროგრამებს ახორციელებს, რაშიც აჭარის მთავრობა დიდ დახმარებას გვიწევს. ჩვენ ვართ ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ-ი. გვაქვს საშუალება, ყველაზე საჭირო და აქტუალური, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამები დავსახოთ. გვაქვს ისეთი პროგრამები, რომლებიც 2018 წლიდან ხორციელდება, მაგრამ არ ამოუწურავს თავისი მნიშვნელობა და ამიტომ დღესაც გრძელდება. ყველა ეს პროგრამა საკმაოდ ძვირად ღირებულია. აღსანიშნავია სკრინინგის პროგრამა, რომელიც ძალიან ძვირად ღირებულია და აჭარაში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის უფასოა. თითოეული პროგრამა მოიცავს მრავალკომპონენტიან კვლევას, რაც უმნიშვნელოვანესია. კიდევ ერთი, რაც საერთო აქვს ამ პროგრამებს, 80% ჩვენი პროგრამებისა ორიენტირებულია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე. როდესაც საუბარია პრევენციაზე და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ორიენტირებულია პრევენციაზე, ადრეულ დიაგნოსტიკაზე, სკრინინგზე, იქ აუცილებლად გასათვალისწინებელია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა. შარშან 11 პროგრამა გვქონდა და წელს დავამატეთ მე-12. ესენია მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზია და თანდაყოლილი ამოვარდნილობის პროგრამა, სმენის მეორეული სკრინინგი, ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფებში, აუტიზმის დიაგნოსტიკა, ორსულთა სკოლა, ახალშობილთა მეტაბოლური კვლევა, ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა, ტყვიის კვლევა ორსულებში, ლაქტაციაში მყოფ ქალბატონებსა და ბავშვთა რანდომულ ჯგუფებში ტყვიაზე მაღალი შემცველობის 5 და მეტი მიკროგრამი/დეციმეტრზე ოჯახების გარემოს კვლევა ექსპოზიციის გამოვლენის თვალსაზრისით, ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა, სპორტსმენ ბავშვთა კარდიოსკრინინგი. ასევე, მინდა ვისაუბრო კიდევ ერთ პროგრამაზე - მემთეურთა გამოკვლევაზე, რომელიც აჭარისთვისაა ძალიან მნიშვნელოვანი. როდესაც სასწავლო პერიოდი მთავრდება, ბავშვები ოჯახებს მიჰყავთ მთაში დასასვენებლად. ყველამ იცის, რომელი სოფლიდან რომელ მთაში მიდის ბავშვი. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, დავსახოთ პროგრამა და ამ სეზონზე, იმ სოფლებში, საიდანაც მიდის მოსახლეობა, მთაში წასვლამდე ჩატარდეს ექიმის კონსულტაციები საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში და გაკეთდეს კვლევები, რისი გაკეთებაც შეიძლება, შემდეგ კი, უკვე რომელი კომპანიაც ტენდერში გაიმარჯვებს, ის წავა მთაში და იქ ჩაატარებს როგორც ბავშვების, ასევე დიდების გამოკვლევებს. მთებში იქნება პორტატული ექოსკოპიის, შაქრის გასინჯვის, ელექტოკარდიოგრამის გაკეთების საშუალება, ამას დაემატება მედიკამენტებიც, რაც მათთვის საჭიროა დიაგნოზიდან გამომდინარე.

- პროგრამის ჩამოყალიბებამდე რისი ცოდნაა მნიშვნელოვანი?

- უნდა იცოდე რეგიონებში არსებული ფონი, უნდა შეისწავლო, რა არის ყველაზე საჭირო, ასევე, პროგრამის განსახორციელებლად რა რესურსი გაქვს. შეიძლება გქონდეს სურვილი, მაგრამ ვერ განახორციელო. ჩვენ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მთავრობა მაქსიმალურად ხელს გვიწყობს და გვეხმარება. დასასრულ გეტყვით, რომ წელს, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე საუბარი იყო ერთ-ერთ წარმატებულ პროგრამაზე და ეს იყო აჭარაში ჩვენი ტყვიის კვლევის პროგრამა, რაც, დამერწმუნებით, ძალიან სასიამოვნოა.

> ***„ ვაქცინის ხარისხი არის უმაღლესი და ეს განაპირობებს მოსახლეობის მოთხოვნასაც. ჩვენ, ასევე, ვტვირთავთ ინფორმაციას სპეციალურ პორტალზე, თუ როგორ მიმდინარეობს ქვეყანაში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ეს არის ძალიან სერიოზული და საპასუხისმგებლო პროცესი ყველა იმ კამპანიასთან ერთად, რასაც ვეწევით. ძირითადად, ჩვენს ქვეყანაში ორი ვაქცინა შემოდის - საფრანგეთიდან და ნიდერლანდებიდან და არ აქვს მნიშვნელობა, რომელს აირჩევს მოქალაქე***

ფრანც კოკს ბსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს, ზალცბურგის პარის ლოდრონის უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარ ფრანც კოკს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. ფრანც კოკს დიდი წვლილი მიუძღვის ბსუ-ის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში.

ბსუ-ის ინფორმაციით, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორ ფრანც კოკის სამეცნიერო კვლევის სფერო შედარებითი პოლიტიკაა. იგი ავტორია 12 სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფიის). მეცნიერ-მკვლევრის ხელშეწყობით, 2015 წელს დაიწყო ზალცბურგის პარის ლოდრონისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტების თანამშრომლობა. მისი ინიციატივით დაიგეგმა ბსუ-ის ჩართვა „ერაზმუს +“-ის K-107-ის კონსორციუმში. იგი ითვალისწინებდა საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპისმცოდნეობისა და პოლიტიკის მეცნიერებების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის ორგანიზებასა და „ერაზმუს +“-ის გრანტით დაფინანსებას. 2016 წლიდან პოლიტიკის მეცნიერების დოქტორ ფრანც კოკის ხელშეწყობითა და ინიციატივით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ზალცბურგის, ტირანას, ლუბლიანას, სკოპიეს, სარაევოს და სხვა პოლიტიკურ მეცნიერებებში საერთო სამაგისტრო პროგრამის - PoSIG განხორციელების პროცესში, სადაც ბსუ-ის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ფუნქცია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ინტერნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობა და მისი ხელშეწყობაა. დღემდე PoSIG-ის პროფესორ-მასწავლებელთა ყოველწლიურ სემინარებში ბსუ-ის აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები მონაწილეობენ. სემინარები, ძირითადად, სამი მიმართულებით მიმდინარეობს.

რა სიურპრიზს ინახავს ვახტანგ გოგრაჭაძე?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



ვახტანგ გოგრაჭაძე *შუახევის რაიონის სოფელ წყاროთის მკვიდრია. სპეციალობით ეკონომისტ-ფინანსისტმა, ახალგაზრდულ ასაკში ლექსების კრებულები და რომანი ცალკე წიგნად გამოსცა, ამჯერად კი იუმორისტულ-ეთნოგრაფიული კრებული - „წყاროთული ამბები“. იგი შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილეა და აქტიურადაა ჩართული ღონისძიებების მომზადებაში, პირადად ხელმძღვანელობდა ექსპედიციას თურქეთის რესპუბლიკაში. ვახტანგს 2023 წელს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია გადასცა ნაყოფიერი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მუშაობისთვის.*

- ბატონო ვახტანგ, გილოცავთ ახალი წიგნის გამოცემას. რამ გადაგაწყვეტინათ მშობლიური სოფლის ძველი და ახალი ამბების ერთ წიგნად აკინძვა და სამზეოზე გამოტანა?

- მადლობა „აჭარის“ რედაქციას, რომ დაინტერესდით ამ თემით და მომეცით საშუალება, საჯაროდ ვისაუბრო წიგნზე, რომელმაც მოკლე დროში საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. ზოგადად ვიცით, რომ უამრავი ამბავი, რომლებიც მთაში იქმნება, შემდეგ დავიწყებას ეძლევა, ან ავტორი ეკარგება. ასე რომ არ მომხდარიყო, შევეცადე, ხალხის წიაღიდან ამომეღო და შემენახა ის „გემრიელი“ ამბები, რომლებიც კვებავს ქართული სოფლის ეთნოცხოვრებას და, ასევე, ადამიანს - ფსიქოლოგიურად, აძლევს მოტივაციას და უხალისებს ყოველდღიურ ყოფას, თუმცა „წყاროთულ ამბებში“ მხოლოდ იუმორი არაა შეტანილი. ფალავნების ისტორიები, ზეპირსიტყვიერება და სხვა საინტერესო ამბებიცაა აღწერილი.

- აკაკი გეწაძემ რაჭველების იუმორი სამზეოზე რომ გამოიტანა, აუმხედრდნენ...

- ალბათ აკაკი გეწაძის შემდეგ შეიცვალა საზოგადოების ხედვა და დღეს სხვა მოცემულობა გვაქვს. პირადი ცხოვრების იუმორში საჯაროდ გამოტანა თითქმის აღარავის ეთაკილება. უამრავ სატელევიზიო შოუში თავისუფლად ყვებიან, რა გადახდათ. იუმორს თუ გავაქრობთ დედამიწაზე, ყველაზე მძიმე არსება ადამიანი იქნება. თუ გინდა გაა-გემრიელო ცხოვრება, მოაყარე იუმორი. ჩემი წიგნი იუმორის ადრესატებამდე ჯერ არ არის მისული და წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. იმედია, გასაქცევი გზის მოძებნა არ დამჭირდება.

- უკვე კრებთ მასალებს, რომ შუახეველების იუმორი წიგნად გამოსცეთ.

- კი, ნამდვილად ასეა. ადამიანების გაბრწყინებული სახეები რომ დავინახე, სტიმული მომეცა, თემა გამეფართოებინა და შუახევის მასშტაბით დავიწყე მსგავსი ამბების შეკრება. პროცესი ნელ-ნელა მიდის და ყველა საშუალებით ვცდილობ, ადამიანები ავალაპარაკო. ხანდახან იძულებით მიწევს ღვინის დალევა. უკეთ რომ აგიხსნათ, გავდივარ სოფლებში და იქაურებთან ერთად ვქეიფობ. ხომ იცით, 7-8 ჭიქის მერე იწყება ამბების თხრობა. მომავალი წიგნი უფრო განსხვავებული დიზაინის იქნება და უფრო საინტერესო ამბებს მოიცავს.

- პიროვნებების (სევფო მიქელაძე, დემურ ქათამაძე და სხვები) იუმორს რა ადგილს მიუჩენთ?

- სევფო მიქელაძის იუმორისტული ამბები წლების წინ გამოიცა და ვცდილობ, უკვე ნათქვამი არ გავიმეორო. თუ ახალს წავაწყდები, რა თქმა უნდა, ჩავავლებ ხელს. უამრავი საინტერესო ადამიანი გვყავს მთიან აჭარაში და სწორედ მათ ნაცხოვრებ კვალს სხვა რაკურსით ვეძებ.

- აქტიურად ხართ ჩართული კინოფესტივალების ორგანიზებაში...

- დიახ, ორი წლის წინ წამოვიწყე სმარტ-ფილმების კინოფესტივალი. ეს არის ტელეფონებით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები. პროექტმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა, თანადამფინანსებელი შუახევის მერიაა. პირველ წელს 35 ფილმი შემოვიდა, გასულ წელს ფესტივალი საერთაშორისო გავხადეთ და 65 ფილმი მივიღეთ. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ახალგაზრდების ინტერესი იზრდება და ჩვენც არ უნდა გავჩერდეთ. უნარიანი თაობა გვყავს და ის შესაძლებლობები, რაც მობილურს აქვს, საშუალებას იძლევა, მარტივად შეიქმნას კარგი კინოპროდუქცია.

- შვილი, საბა გოგრაჭაძე, მოსწავლეა, მაგრამ საზოგადოებამ რამდენიმე ფილმით გაიცნო. ეს მამის გავლენაა?

- შესაძლებელია, მამის გავლენაც იყოს, კატეგორიულად ვერ უარვყოფ, მაგრამ მას რომ არ ჰქონდეს შემოქმედი ადამიანის ნიჭი, მერწმუნეთ, არაფერი გამოვა. ფილმი „ორი გურჯისტანი“, რომელმაც ორი დღის განმავლობაში 600000 ნახვა დააგროვა და საზოგადოების დადებითი შეფასება მიიღო, მალე გერმანიის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარსდგება. საბა ფილმში მთავარ გმირს თამაშობს და არ გასჭირვებია როლის მორგება.

- საკმაო ჩანაწერები გაქვთ იმერხევსა და ტაო-კლარჯეთზე. მათ რა ბედი ელით?

- საინტერესო თემაა ტაო-კლარჯეთი, ამოუწურავი, მოუნელებელი, დაუვიწყარი. იქ ყოველ ჩასვლაზე ახალი ცრემლები ჩნდება. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენებურებს უფრო უყვართ ყველაფერი ქართული, ვიდრე ჩვენ. როდესაც ვკითხე ჩვენებურ ჰავა ხანუმს, რა გსურს საქართველოსგან-მეთქი, მიპასუხა: მინდა, საქართველომ ხელები მომხვიოსო. დღემდე ამაზე ვფიქრობ. იქაურ ჩანაწერებს სოციალური ქსელით ვაქვეყნებ. მალე სტამბოლში გაიმართება ჩემ მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის - „ისმეთ აჯარი“ ჩვენება. ისმეთი ის ჭეშმარიტი ქართველია, რომელსაც დღეს თურქეთში „თურქეთის ბაბას“ ეძახიან. მისი ქველმოქმედება თუ მეცენატობა იმდენად დიდია, ერთი საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს. ერთს ვიტყვი მხოლოდ - სტამბოლის გარეუბანში, სადაც ტყის გაუვალი კორომები იყო, ქალაქი „აჭარკენტი“ ააშენა და 12000 კაცი ჩაასახლა.

- სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი გყავთ. სიყვარული აუხსენით თუ....

- ვინ მაცალა, რომ ამეხსნა? ამ გადასახედიდან, ასე მგონია, ორი საუკუნის წინ დავქორწინდით. მას მერე რადიკალურად შეიცვალა დაოჯახების ანი და ჰოე. ჩვენ დროს მოწონებიდან, ვალდებულებიდან იწყებოდა ურთიერთობა და მერე გადადიოდა სიყვარულში, ან არ გადადიოდა. ჩვენს შემთხვევაში - გადავიდა. წერილებით ვკონტაქტობდით, რომლებსაც ბარათაულის სარწყავ არხს აყოლებდა ჩემი საცოლე. მეც ვიჯექი საათობით არხის ნაპირას. ხუთი წერილიდან სამი მოვიდა ჩემამდე. მკითხავთ, პასუხს როგორ უგზავნიდი, წყალი ხომ აღმა არ მიდისო? საკონტაქტოდ ერთი პირი შევარჩიეთ, რომელიც მაქსიმუმ, თვითონ წაიკითხავდა და სხვას არ გაანდობდა ჩვენს ახალწამოჩიტულ გრძნობებს. „ელჩობისა“ და მაჭანკლობის თაობა ვართ. მეც ვიყავი ერთხელ მაჭანკალი. ბედნიერი ვარ, რომ გამიმართლა - საუკეთესო ოჯახი შექმნეს. ამ თემაზე აუცილებლად დავწერ.

- ქართული ენა ჩვენი იდენტობის განმაპირობებელი ფენომენია. თუ გადავფურცლავთ თქვენს წიგნებს, იშვიათად შეეხვდებით იმ სიტყვებს, რომლებსაც დღეს სამეტყველო ქართულსა და სოციალურ ქსელებში ამკვიდრებენ...

- ძალიან დიდ და მტკივნეულ თემას შეეხეთ. არ ვიცი, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“. სადაც და რა ხერხებითაც შემიძლია, ყველგან გავკივი, რომ ქართული ენა ხელებშუა გვიჭრება. საბას ლექსიკონს მტვერი ადევს. ათასობით სიტყვა დავკარგეთ და ყოველდღიურად ვკარგავთ. მთელი მისი არსებობის განმავლობაში ასეთი საფრთხე ქართულ ენას და ზოგადად, ქართულ იდენტობას არ შექმნია. ამ საფრთხეს გლობალიზაცია ჰქვია. უდიერი მიდგომით ვკარგავთ იმ ენას, რომელი ენითაც მეორედ მოსვლაა ნაწინასწარმეტყველები. არ არსებობს გრძნობა, რომელიც ქართულად არ შეიძლება გამოითქვას, გარდა, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ტექნოლოგიური ტერმინებისა.

- მეტწილად, გაწონასწორებული და მიმტევებელი ხართ, თუმცა გაცხარებაც იცით. რამდენად სასარგებლოა?

- ამ კითხვამ ღიმილი მომგვარა. „თქმულა, სიწყნარე გმობილი, სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. როდესაც მოწინააღმდეგე აგრესიას იჩენს, მე მაშინ ვჩუმდები. ეს მომგებიანია, რადგან „დუმილი ოქროა“. თუმცა, როგორც ბებიაჩემი მასწავლიდა: ხანდეხან იმფერიდა დეიყვირო, ჭერიდან მტვერი ჩამოზავდესო. სამწუხაროდ, დღეს მიტევება ყველაზე მეტად გვიჭირს, არადა, რელიგიურად გამართლებული და უდიდესი მადლია. „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“... ზოგადად, კამათის ენას ვერ ვიგებ. არგუმენტი და მხოლოდ არგუმენტი, თუმცა როდესაც არგუმენტი არ არსებობს, მხარე გამოსავალს ეძებს და იწყება კამათი. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“. დღეს სოციალურმა ქსელებმა ადამიანები ერთმანეთს გადაჰკიდა. კომენტარების ომები დაიწყო. გულს მირევს ასეთი მიდგომა. ადამიანს გვერდით რომ მოისვამ, თვალებში ჩახედავ და დაელაპარაკები, მერწმუნეთ, საკითხიც მოგვარდება, რაც არ შეუძლია ვირტუალურ ურთიერთობას.

- შემოქმედებითად როდის მუშაობთ?

- ამისთვის არც დროა საჭირო და არც ადგილი. ხან საჭესთან ჯდომის დროს ვმუშაობ, ხან - შუადამის ძილის დროს, ხან კიდევ - ხალხმრავლობაში. ისე, ერთ ადგილს გამოვარჩევ, სადაც ხშირად მიწევს მუშაობა - საკუთარ ოთახში ვზივარ მაგიდასთან, მინთია მაგიდის ნათურა, მიდევს ლეპტოპი, გვერდით ჩაი, მიმოყრილი ფურცლები და სრული მდუმარება. ეს არის დრო ფიქრისა და ამ ფიქრის გადმოტანისა ქაღალდზე, რაც მანიჭებს სიამოვნებას და არასდროს მღლის.

- პირადი ინიციატივით, საინტერესო საღამო მოუწყვეთ „უფლის საგალობლის“ ავტორ ფრიდონ დავითაძეს. როგორც მწერალი, რამდენად აფასებთ სხვა შემოქმედი ადამიანების ღვაწლს?

- „უფლის საგალობლის“ ავტორთან ბავშვობა მაკავშირებს, მახსოვს, როცა ის ჯერ კიდევ რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, როგორ მაძლევდა სტიმულს. მინდა, რომ ყველას გავუხარო გული, მათი შემოქმედება საზოგადოებას გავაცნო. თაობა, რომლის გზასაც მივყვებით, აუცილებლად უნდა დაფასდეს და თუ ამაში ჩემი მცირედი წვლილი იქნება, ეს ჩემთვის დიდი პატივია. რაც შეეხება ახალგაზრდებს - მათი შემოქმედება ისეთი სუფთა და ხალასია, რომ შეუძლებელია, ხელი არ შევაშველოთ.

> ***„საინტერესო თემაა ტაო-კლარჯეთი, ამოუწურავი, მოუნელებელი, დაუვიწყარი. იქ ყოველ ჩასვლაზე ახალი ცრემლები ჩნდება. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენებურებს უფრო უყვართ ყველაფერი ქართული, ვიდრე ჩვენ. როდესაც ვკითხე ჩვენებურ ჰავა ხანუმს, რა გსურს საქართველოსგან-მეთქი, მიპასუხა: მინდა, საქართველომ ხელები მომხვიოსო. დღემდე ამაზე ვფიქრობ***

- შუახევის კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე რას გვეტყვით?

- ერთი სული გვაქვს, როდის დასრულდება მისი რეაბილიტაცია. ხშირად შევდივარ შენობაში და წარმოვიდგენ, სად რა უნდა იყოს განლაგებული. ბევრი რამ ახსოვთ ამ კედლებს და მეც ბავშვურ ნოსტალგიას მიღვიძებს. ამ კედლებში მოღვაწეობდნენ ჩვენი კუთხის კორიფეები. მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და მადლობა გადავუხადო შესაბამის უწყებებსა და ხელმძღვანელ პირებს ამ დიდი, შეიძლება ითქვას, საუკუნის პროექტისთვის. რეაბილიტაციისთვის დაახლოებით მილიონ-ნახევარი ლარი დაიხარჯება და შუახევს თანამედროვე სტანდარტების კულტურის ცენტრის შენობა ექნება. მართალია, გარკვეულ მიზეზთა გამო სამუშაოები დროში გაიწელა, მაგრამ, ვფიქრობთ, 26 მაისის საზეიმო ღონისძიება აქ გაიმართება.

- რამდენიმე წინადადებით კულტურის ცენტრის უახლოეს გეგმებზეც გვითხარით...

- კულტურის ცენტრის დირექტორთან ერთად მთელი წლის ღონისძიებები დავგეგმეთ და ეტაპობრივად დავიწყებთ განხორციელებას. შუახევის მერიის მხარდაჭერის იმედიც გვაქვს. მარტში პოეზიის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვაპირებთ ქალი პოეტების მოწვევას. დაგეგმილი გვაქვს ფესტივალი „შუახევი - შუახევში“, ასევე, „შუახევური საღამო“ ქალაქ ბათუმში და ასე შემდეგ. ზოგ რამეს სიურპრიზად შემოვინახავ.

ხულო-ზარზმის გზის დაგება წელს დასრულდება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ქარსელაძემ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, ეკონომიკური მიმართულების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, სამინისტროში განხორციელებულ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

მისი თქმით, წელს სულ რეაბილიტირდება 400 კმ-ზე მეტი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა. ხულო-ზარზმის გზაზე დასრულებულია 17 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა, გრძელდება და წელს დასრულდება ხულო-ზარზმის გზის დანარჩენი მონაკვეთების მშენებლობა. თავის გამოსვლაში მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ წელს, ასევე, დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის ძირითადი მონაკვეთების მშენებლობა, მოძრაობა გაიხსნება აღმოსავლეთ-დასავლეთისა და კახეთის მაგისტრალის 90 კმ მაგისტრალურ გზაზე, თბილისი-ბათუმის მიმართულებით კი მგზავრობას უკვე დაახლოებით 3,5 სთ დასჭირდება.

კაცი, რომელიც ყველა ცხოვრებაში მსახიობი იქნებოდა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი არსებობით განსაკუთრებულ ხიბლს და სილამაზეს სძენენ ქალაქს. სწორედ ასეთ ადამიანზე გვინდა გესაუბროთ დღეს. იგი უხდება ბათუმს და იმ სფეროს, რომელსაც 45 წელია, უღალატოდ ემსახურება. გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი, არაერთი ჯილდოს მფლობელი და უბრალოდ, ბათუმელი ***ავთანდილ ძარჩავაა.***

- ბატონო ავთანდილ, როგორ ფიქრობთ, რა არის ადამიანის მთავარი მისია ამქვეყნად?

- მთავარი ის კი არ არის, რამდენ ხანს იცოცხლებ, მთავარია, მოასწრო და შენი სათქმელი მიუტანელი არ დაგრჩეს საკურთხეველთან, რომელიც შენს ხალხს და შენს მიწას ეკუთვნის, - გენიალური სიტყვებია. ბევრი ამბობს თავის სათქმელს, ბევრი ვერ ამბობს, ვერ ასწრებს, რადგან მართლაც, „წუთია ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება“. ვინც ახერხებს, ღირსეულად იცხოვროს, ესე იგი უფლის რჩეულია. ჩემი ერთადერთი სურვილია და კმაყოფილი ვიქნები, იმ ქვეყნად გარდასვლის შემდეგ, კიდევ 5-10 წელი თუ არ დავავიწყდები ხალხს. მართალია, შენ ყოველთვის ეხსომები შენს თაობას, მაგრამ თუ შეძლებ ისე ცხოვრებას, რომ ახალგაზრდებსაც ახსოვდე, ესე იგი, შენი ამქვეყნად მოსვლის მისია შეასრულე. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ სიყვარული გიყვარდეს, გტკიოდეს სხვისი ტკივილი და გიხაროდეს სიხარული. გულშემატკივარი უნდა იყო ყველასი, არ უნდა გაგიჭირდეს ადამიანისათვის კომპლიმენტის თქმა, მისი წარმატების გაზიარება, რადგან ერთმა სწორ დროს ნათქვამმა სიტყვამ, შეიძლება გადაგარჩინოს, სიცოცხლის სურვილი დაგიბრუნოს.

- ყველაზე მეტად რა გენატრებათ ბავშვობიდან?

- დრო, როცა დედა, მამა და ყველა დედმამიშვილი ერთად ვცხოვრობდით. დედაც წავიდა, დაც, ძმაც, მამა ახალგაზრდა, 38 წლისა დაიღუპა ტრაგიკულად. და მაინც, დედა მენატრება ყველაზე, ყველაზე მეტად.

- იმ დროში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას ეტყოდით დედას?

- ბოდიშს მოვუხდიდი. ჩვენ, ალბათ, ყველა, ვფიქრობთ, რომ დედა უკვდავია. დედა, მართლაც, უკვდავია და სანამ ცოცხლობ, ისიც შენში ცოცხლობს, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენთ, რომ ის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ გვერდით აღარ იქნება. მეგონა, სულ მეყოლებოდა... რომ წავიდა, მას შემდეგ დამეუფლა დანაშაულის განცდა. დედა ბოლო ხანს სოფელში იყო და ბევრი სითბო მივაკელი ჩემს თავს, რომ ხშირად არ ჩავდიოდი მასთან. ვისაც გყავთ მშობლები, ხშირად ჩაიკარით გულში, მოეფერეთ. დედას ასევე ვეტყვი დიდ მადლობას ყველაფრისათვის. დედა, შენ ცოცხალი ხარ, დამელოდე, ალბათ მალე გნახავ... რთული ბავშვობა გვქონდა, ობლად გავიზარდეთ, ხუთ შვილს გვზრდიდა დედაჩემი და ბედნიერი ვარ, რომ ყველა დედმამიშვილი სასახელო, წესიერი და პატიოსანი გავიზარდეთ. ბევრი რამ მენატრება ბავშვობიდან, ის ურთიერთობები და პატივისცემა მენატრება, ჩემს ბავშვობასა და ყმაწვილკაცობაში რომ იყო.

- იყო მსახიობი, ნიშნავს...

- თეატრი ჩემი ცხოვრებაა. ბევრს უთქვამს ჩემთვის, თქვენ რა გენაღვლებათ, რა კარგი პროფესია გაქვთ, მღერით, ცეკვავთ, ერთობითო. ვინც თეატრის შიდა სამზარეულოს იცნობს, მან იცის, რომ სანამ ლია. ჩემი ერთადერთი სურვილია და კმაყოფილი ვიქნები, იმ ქვეყნად გარდასვლის შემდეგ, კიდევ 5-10 წელი თუ არ დავავიწყდები ხალხს. მართალია, შენ ყოველთვის ეხსომები შენს თაობას, მაგრამ თუ შეძლებ ისე ცხოვრებას, რომ ახალგაზრდებსაც ახსოვდე, ესე იგი, შენი ამქვეყნად მოსვლის მისია შეასრულე. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ სიყვარული გიყვარდეს, გტკიოდეს სხვისი ტკივილი და გიხაროდეს სიხარული. გულშემატკივარი უნდა იყო ყველასი, არ უნდა გაგიჭირდეს ადამიანისათვის კომპლიმენტის თქმა, მისი წარმატების გაზიარება, რადგან ერთმა სწორ დროს ნათქვამმა სიტყვამ, შეიძლება გადაგარჩინოს, სიცოცხლის სურვილი დაგიბრუნოს.



- ყველაზე მეტად რა გენატრებათ ბავშვობიდან?

- დრო, როცა დედა, მამა და ყველა დედმამიშვილი ერთად ვცხოვრობდით. დედაც წავიდა, დაც, ძმაც, მამა ახალგაზრდა, 38 წლისა დაიღუპა ტრაგიკულად. და მაინც, დედა მენატრება ყველაზე, ყველაზე მეტად.

- იმ დროში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას ეტყოდით დედას?

- ბოდიშს მოვუხდიდი. ჩვენ, ალბათ, ყველა, ვფიქრობთ, რომ დედა უკვდავია. დედა, მართლაც, უკვდავია და სანამ ცოცხლობ, ისიც შენში ცოცხლობს, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენთ, რომ ის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ გვერდით აღარ იქნება. მეგონა, სულ მეყოლებოდა... რომ წავიდა, მას შემდეგ დამეუფლა დანაშაულის განცდა. დედა ბოლო ხანს სოფელში იყო და ბევრი სითბო მივაკელი ჩემს თავს, რომ ხშირად არ ჩავდიოდი მასთან. ვისაც გყავთ მშობლები, ხშირად ჩაიკარით გულში, მოეფერეთ. დედას ასევე ვეტყვი დიდ მადლობას ყველაფრისათვის. დედა, შენ ცოცხალი ხარ, დამელოდე, ალბათ მალე გნახავ... რთული ბავშვობა გვქონდა, ობლად გავიზარდეთ, ხუთ შვილს გვზრდიდა დედაჩემი და ბედნიერი ვარ, რომ ყველა დედმამიშვილი სასახელო, წესიერი და პატიოსანი გავიზარდეთ. ბევრი რამ მენატრება ბავშვობიდან, ის ურთიერთობები და პატივისცემა მენატრება, ჩემს ბავშვობასა და ყმაწვილკაცობაში რომ იყო.

- იყო მსახიობი, ნიშნავს...

- თეატრი ჩემი ცხოვრებაა. ბევრს უთქვამს ჩემთვის, თქვენ რა გენაღვლებათ, რა კარგი პროფესია გაქვთ, მღერით, ცეკვავთ, ერთობითო. ვინც თეატრის შიდა სამზარეულოს იცნობს, მან იცის, რომ სანამ ბევრი მსახიობის უკანასკნელ გზაზე ტაშით გაცილება მინახავს და მიფიქრია, რომ სიცოცხლე ღირს ასეთი სიკვდილისთვის. სხვათა შორის, მსახიობის ტაშით გაცილება საქართველოში პირველად, აქ, ბათუმის დრამატულ თეატრში ვიხილე. ის იყო, ბატონი იუსუფ კობალაძე უკანასკნელ გზაზე უნდა გაგვეცილებინა, რომ ახალგაზრდა ყმაწვილი ამოვარდა სცენაზე, ბოდიში მოიხადა და მაყურებელს მიმართა: ამ დიდებულ ადამიანს ტაშით ხვდებოდა მაყურებელი და დღესაც ტაშით გავაცილოთო, დაინგრა დარბაზი. შემდეგ თბილისში, დოდო ალექსიძის გამოსვენებისას განმეორდა ეს და დამკვიდრდა ჟესტი, რომელიც ადამიანის უდიდეს პატივისცემას გამოხატავს. მას კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ადამიანობისთვის, პროფესიონალიზმისთვის, ზოგადად, მოღვაწეობისათვის.

- ბატონო ავთანდილ, რომელ ჟანრში გრძნობთ თავს ისე, როგორც თევზი წყალში და რომელმა სპექტაკლმა დაგიტოვათ განსაკუთრებული ემოცია?

- ყველა ჟანრში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, თავს კარგად ვგრძნობდი. ხმამაღალი ნათქვამი თუ არ გამომივა, 38-მდე მთავარი როლი მაქვს 70-მდე სპექტაკლში ნათამაშები, რაც ნამდვილად არ არის ცოტა. რაც შეეხება სპექტაკლს, სადაც თავი ისე მიგრძნია, როგორც თევზი წყალში, რამდენიმე მათგანს გამოვარჩევ. იყო ასეთი სპექტაკლი „წვიმის გამყიდველი“. ჩემი პერსონაჟი გვალვაში დადიოდა და წვიმას 45 დოლარად ყიდდა. სხვათა შორის, 4 დღე იყო დარჩენილი პრემიერამდე და გასაღები ვერ მოვუნახე ჩემს როლს. თითქოს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ აბსოლუტურად ცარიელი ვიყავი. არ ვიცოდი, რა მექნა. ღამე საზღვაო სადგურში დავიწყე სიარული და მესამე დღეს, ამ სიარულისას, რაღაც მთავარს მივაგენი, რომლის შემდეგაც შემეცვალა პლასტიკა, ხმის ინტონაცია, მიმართვა. ყველა როლს ძიება და მიგნება სჭირდება. ასევე, განსაკუთრებულად მახსენდება სპექტაკლები - „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, „ამირანი ღია შუშაბანდში“. სასიამოვნოა, როცა გცნობენ, გეუბნებიან, რომ შენს სპექტაკლებზე გაიზარდნენ, მაგრამ ერთს გეტყვით, როგორც კი გაიფიქრებ, რომ მაგარი ხარ, იქიდან იწყება შენი დაცემა. იმ 38 სპექტაკლიდან, ჩემი აზრით, მხ-

ყველაზე დიდი ჯილდო მაყურებლის სიყვარული და აპლოდისმენტია. მსახიობი სწორედ ამის მისაღებად გადის სცენაზე, ამით ცოცხლობს.

მი და რას ნიშნავს ბათუმელობა თქვენთვის?

- დღეს რომ დავიბადო, ამ გონებით ვიყო და მკითხოთ, სად ვიცხოვრებდი, გიპასუხებთ, რომ ბათუმის გარდა - არსად. ამ ქალაქს განსაკუთრებული სითბო აქვს, გამორჩეული სიყვარული შეუძლია. ბათუმმა იცის სტუმრის არაჩვეულებრივად

მიღება და ცრემლიანი გაცილება, რადგან გულწრფელად წყდება გული, სტუმარი რომ მიდის. ძალიან რთულია, იყო ბათუმელი, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ძველი ბათუმი მიყვარს. ზაზა ხალვაშმა გადაიღო ფილმი „ლოტო“, რომელშიც მეც ვთამაშობ. ეს არის ისტორიული ფილმი ბათუმურ ეზოზე, რაც სამწუხაროდ, იკარგება დღეს. კარგია, რომ ვითარდება ქალაქი და ვისაც ამაში წვლილი შეაქვს, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ვთხოვ ყველას, ნუ ჩახუთავენ, ნუ დაახრჩობენ ამ ქალაქს...

- რა არის სიყვარული?

- რთულია სიყვარულზე საუბარი... თუ გიყვარს, გულწრფელად უნდა გიყვარდეს. აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, წავედი. ვფიქრობდი, შეიძლება ვერ გადავრჩენილიყავი, ვერ დავბრუნებულიყავი სახლში, მაგრამ ერთი განცდა მაძლიერებდა, ეს იყო სამშობლოს დიდი სიყვარული. მზად ვიყავი, საკუთარი სიცოცხლე დამეთმო მისთვის. როგორც პურის მარცვალს, ისე უნდა ვთესდეთ სიყვარულს. შესაძლოა, ეკალბარდებში გააბნიო ეს თესლი და იქ ულამაზესი ყვავილები ამოვიდეს, გაამშვენიეროს იქაურობა. სიყვარული ხომ ამშვენიერებს ადამიანებს, სიცოცხლეს, სამყაროს.

- როგორ ფიქრობთ, თეატრი ასრულებს დღეს თავის მთავარ მისიას?

- კი, ბათუმის დრამატული თეატრი - განსაკუთრებით. 45 წელია, რაც თეატრში ვარ. მაყურებლის ნაკლებობას თითქმის არასდროს ვუჩიოდით, მაგრამ ახლა რაც ხდება, იშვიათია. სპექტაკლის დაანონსებიდან მეორე დღეს ბილეთები აღარ იშოვება. მაყურებელი დაუბრუნდა თეატრს. ის ტყუილად, თუ არ დაახვედრებ საუკეთესო პროდუქციას, არ დაბრუნდება. სპექტაკლი, იცით, როდის არის გამარჯვებული? როცა საზოგადოება ტაშს დაგიკრავს, გარეთ გავა და რამდენიმე დღის განმავლობაში სპექტაკლზე და იქ გაჟღერებულ სათქმელზე დაფიქრდება.

- რას ეტყვით ახალგაზრდებს,



რომლებსაც მსახიობობა სურთ?

- შეიძლება ნიჭიერი იყო, მაგრამ კარგი მსახიობი ვერ გამოხვიდე. რაღაც სხვა უნარებია საჭირო, სხვანაირი ფანტაზიისა და იმპროვიზაციის უნარი უნდა გქონდეს. ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის და ვფიქრობ, ღირსეულად გააგრძელებენ ჩვენს გაკაფულ გზას.

- კადრი, რომელიც არასოდეს წაიშლება თქვენი მეხსიერებიდან...

- სევდიანია ეს კადრი, მტკივნეული... როგორც ზემოთ აღვნიშნე, მამა 38 წლის იყო, როცა ტრაგიკულად დაიღუპა. იმდენი ხალხი მოვიდა, მაშინ მივხვდი, რა ძალა და სახელი ჰქონია მამაჩემს. მახსოვს, გულზე ხელი დავადე და ვუთხარი, არასოდეს შეგარცხვენ-მეთქი. ეს კადრი და დანაპირები არასდროს დამვიწყებია და სანამ ცოცხალი ვარ, ასე იქნება.

- ბატონო ავთანდილ, როგორ ფიქრობთ, „იქ“ თეატრი არის?

- ოო, იქ თუ თეატრი არის, ისეთი ამბავი იქნება...

- და რომ იყოს, ისევ მსახიობი იქნებოდით?

- რა თქმა უნდა, სხვა პროფესია არც განიხილება. უჰ, რა ხალხი დამხვდებოდა იმ თეატრში... ალბათ, მელოდებიან კიდეც. როდის წავალ, კაცმა არ იცის. ჯერ ბევრი მაქვს სათქმელი. ერთს კიდევ გეტყვით, გიყვარდეთ, ადამიანებო, ერთმანეთი, გიყვარდეთ!

> ***„ბევრი მსახიობის უკანასკნელ გზაზე ტაშით გაცილება მინახავს და მიფიქრია, რომ სიცოცხლე ღირს ასეთი სიკვდილისთვის. სხვათა შორის, მსახიობის ტაშით გაცილება საქართველოში პირველად, აქ, ბათუმის დრამატულ თეატრში ვიხილე. ის იყო, ბატონი იუსუფ კობალაძე უკანასკნელ გზაზე უნდა გაგვეცილებინა, რომ ახალგაზრდა ყმაწვილი ამოვარდა სცენაზე, ბოდიში მოიხადა და მაყურებელს მიმართა: ამ დიდებულ ადამიანს ტაშით ხვდებოდა მაყურებელი და დღესაც ტაშით გავაცილოთო, დაინგრა დარბაზი***

1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები - აჭარიდან

ანა ათანასეს ასული დანელია თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის ჯემალ მამუდის ძე ქიქავას მეუღლე იყო. ქმრის

დაპატიმრების შემდეგ იგი შინსახკომის ჯალათებმა შეიპყრეს როგორც „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, ჯაშუში, ხალხის მტერი, სამშობლოს მოღალატე ჯემალ ქიქავას მეუღლე“. დაპატიმრებისას ანა დანელიას აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმისა და ბიუროს წევრად. 1937 წლის 22 ივლისს გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან, როგორც „ხალხის მტერი“. გამოკითხვის წესით, რომელიც მაშინ გამოიყენებოდა, გაათავისუფლეს ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმისა და ბიუროს წევრობიდან, აღნიშნული დადგენილება 1937 წლის 31 დეკემბერს დაამტკიცა ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა.

ანა დანელია ყალბი ბრალდებით 1937 წლის 30 ოქტომბერს დახვრიტეს. ოჯახმა შემოინახა ანა დანელიას ტრაგედიის მეორე ვერსია, რომლის მიხედვით ჯემალ ქიქავას დაპატიმრების შემდეგ იგი აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჯინჯოლიამ თავის კაბინეტში დაიბარა და გამოკითხვა დაუწყო ქმრის მავნებლობის შესახებ, მისგან ამის დადასტურებას ითხოვდა. გ. ჯინჯოლია ჯემალ ქიქავას ლანძღავდა როგორც მოღალატესა და ანა დანელიასაც შეურაცხყოფა მიაყენა. ასეთი უდიერი მოპყრობა ქალბატონმა ანამ ვერ აიტანა და გ. ჯინჯოლიას სახეში ესროლა მაგიდიდან ატაცებული საფერფლე. გაოგნებულმა კომისარმა ანა დანელია იქვე რევოლვერით ჩაცხრილა.

ანა დანელია ისევე, როგორც მისი ქმარი ჯემალ ქიქავა, ერთგულად და უმწიკვლოდ ემსახურებოდა ქვეყანას. მათ ღალატი არ ჩაუდენიათ სამშობლოს წინაშე. ამის დასტურია მათი ცხოვრების და მოღვაწეობის ისტორია. ანა დანელია დაიბადა 1899 წელს სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში. აქ გაატარა ბავშვობის წლები, შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადავიდა, ხოლო XX საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში სამუშაოდ ბათუმში ჩამოვიდა. თავდაპირველად, მუშაობდა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში. იგი ხელმძღვანელობდა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ქალთა ორგანიზაციას და მნიშვნელოვანი შრომა გასწია ამ მიმართულებით. 1924 წელს გაზეთ „ფუხარაში“ გამოქვეყნდა ანა დანელიას სტატია, რომელშიც განხილულია აჭარელ ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობები და უფლებრივი მდგომარეობა, ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები.

აჭარელი ქალის კარჩაკეტილობის, არქაული წესების დაძლევაში, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალებმა გაავრცელეს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აჭარელ ქალთა კლუბი. იგი ბათუმში 1924 წელს დაარსდა. სტატიაში მიმოხილულია აჭარელ ქალთა კლუბის მუშაობის ერთი წლის შედეგები. კლუბთან არსებობდა ქალთა კომიტეტი, რომელიც 7 წევრს აერთიანებდა. ნაყოფიერად მუშაობდნენ იურიდიული და სამედიცინო დახმარების წრეები, ამბულატორია, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო და ჭრა-კერვის სკოლები და სხვა (გაზ. „ფუხარა“, 1925 წ. №231). იმ შავბნელ წლებში ამ მიმართულებით გაწეულ პროპაგანდას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარელი ქალების მიერ ჩადრის მოხდის და სხვა არქაული წესების დაძლევის, ზოგადად, კულტურის განვითარების თვალსაზრისით.

ანა დანელია მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. მისი ხელმძღვანელობით საგრძნობლად გაიზარდა აჭარის სააფთიაქო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კადრების თვისებრივ-რაოდენობრივი შემადგენლობა და სხვა. სწორედ წარმატებული მუშაობისათვის ანა დანელია საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმისა და ბიუროს წევრად აირჩიეს, თუმცა, საბოლოოდ, შრომა მაინც არ დაუფასეს, მეტიც - მეუღლესთან ერთად სამშობლოს მოღალატედ, ხალხის მტრად შერაცხეს და, როგორც ვთქვით, 1937 წელს დახვრიტეს.

ანა დანელიასა და ჯემალ ქიქავას ორი ვაჟიშვილი ჰყავდათ. მშობლების დახვრეტისას ფერიკი 7 წლის იყო, ხოლო აზიზი - 4 წლის. 1937 წელს რეპრესიები თავს დაატყდათ ჯემალ ქიქავას ძმებს ჯელალსა და გამიდს. ჯელალი, რომელიც აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში განყოფილების გამგედ მუშაობდა, 1937 წელს დახვრიტეს, ხოლო გამიდი შინსახკომის ჯალათებმა იმდენად აწამეს, რომ დაავადდა და მალე გარდაიცვალა.

მშობლებისა და ბიძების სიკვდილის შემდეგ ობლად დარჩენილი ბავშვები ბებიისა და ბაბუის ოჯახში იზრდებოდნენ. საზოგადოების უღირსი წევრებისაგან არაერთხელ განიცადეს დამცირება და შეურაცხყოფა. მათ მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ ბებიასა და ბაბუას თვალებზე ცრემლი არ შეშრობიათ, რადგან ოჯახის ოთხი წევრი (სამი შვილი და რძალი) გაუნადგურეს. ასე გადიოდა წლები. XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში მათი რეაბილიტირება მოხდა. ამჟამად ჯემალ მამუდის ძე ქიქავა, მისი ძმები, ჯემალის მეუღლე ანა ათანასეს ასული დანელია რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო. ისინი აღიარებული არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ფალსიფიცირებული ბრალდებით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს რაისა ბორისის ასული შიშლო-საბაშვილი. იგი იმ დროისთვის 70 წლის იყო და მუშაობდა აჭარის კანისა და ვენეროლოგიური დისპანსერის ექიმად, პროფილით დერმატოლოგ-ვენეროლოგი გახლდათ. რაისა შიშლო დაბადებულია 1867 წელს პოლონეთში (ქ. სუკალი). სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად ბათუმში ჩამოვიდა და ჯანმრთელობის დაცვის არაერთ დაწესებულებაში მუშაობდა. იგი აქ დაოჯახდა, ცოლად გაჰყვა ქართველ ექიმ პარმენ საბაშვილს. მათ საუკეთესო ოჯახი შექმნეს, მაგრამ შინსახკომის ჯალათებმა აქაც „ივაჟკაცეს“ - რაისა შიშლო-საბაშვილს ჯაშუშობა და სამშობლოს ღალატი დასწამეს. სწორედ ამ ყალბი ბრალდებით გამოასალმეს იგი სიცოცხლეს. ამჟამად რაისა ბორისის ასული შიშლო-საბაშვილი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

დიდი ტრაგედია განიცადა ბიბინეიშვილების საგვარეულომ, რომელიც ხელვაჩაურის საკრებულოს სოფელ ერგეში სახლობდა. კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ფალსიფიცირებული ბრალდებით 1937 წელს დახვრიტეს ამ საგვარეულოს წარმომადგენლები. მათ შორის არის გულიზარ ისკენდერის ასული ბიბინეიშვილი. იგი დაპატიმრებისას 20 წლის იყო და „აწპესის“ სამშენებლო კომპანიაში მბეჭდავ-მემანქანედ მუშაობდა. გულიზარ ბიბინეიშვილს ძაბრალეს, თითქოს ჯაშუში იყო, ანტისაბჭოთა ინფორმაციას აწვდიდა თურქეთის სპეცსამსახურებს. ამ ცრუ ბრალდებით იგი 1937 წლის 2 სექტემბერს დაუპატიმრეს, საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით დახვრიტეს.

ამ სასჯელის დადგენისათვის გამოიყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლი: 58-2, 58-6 და 58-11, რაც ნიშნავდა შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის მცდელობას, ჯაშუშობას და ყოველგვარ ორგანიზებულ ქმედებას მიმართულს დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის. გულიზარ ისკენდერის ასული ბიბინეიშვილი ამჟამად რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით გულიზარ ისკენდერის ასული ბიბინეიშვილი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

ოთარ თურმანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „აჭარა“ №4.

სალომე ზურაბიშვილმა ახალი პოლიტიკური პლატფორმის შექმნა დააანონსა

მე-2 გვერდიდან

აღნიშნული პლატფორმის შექმნის ინიციატივამ მეტად გაამყარა მმართველი გუნდის არგუმენტები, რომ სალომე ზურაბიშვილი უკვე ოპოზიციურ ძალად იქცა და ის იბრძვის, როგორც ოპოზიციონერი. ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ეს პლატფორმა ძალიან მნიშვნელოვანია და მიესალმებიან ამ აზრს, ხოლო მეორე ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი და უარს ამბობს მის შექმნაში მონაწილეობაზე.

7 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებთან და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები დაიწყო. პრეზიდენტი უკვე შეხვდა პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს. „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“ შექმნის თაობაზე პრეზიდენტის ინიციატივას, ასევე, შეუერთდებიან „ნაციონალური მოძრაობა“ და პარტია „მოქალაქეები“. რაც შეეხება პარტიას „საქართველოსთვის“, უარს ამბობს თანამშრომლობაზე. პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატმა მიხეილ დაუშვილმა გადაწყვეტილების მიზეზი განმარტა და აღნიშნა, რომ ამ პლატფორმაში მონაწილეობენ ადამიანები, რომელთათვისაც ევროინტეგრაციაც და არჩევნებიც მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებასთანაა დაკავშირებული.

რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები სალომე ზურაბიშვილის ანგარიშსა და „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“ შექმნაზე? გთავაზობთ მოსაზრებებს.

ლადო მგალობლიშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“:

- ვუსმინე ქალბატონ სალომეს, ვფიქრობ, რომ ის სრულად იყო

გაცდენილი თავის კონსტიტუციურ მანდატს. მის რიტორიკასა და დანარჩენი ოპოზიციონერების რიტორიკას შორის არავითარი ზღვარი არ არსებობდა - სრულად იყო მოშლილი. ეს იყო პარლამენტის ტრიბუნაზე რიგითი რადიკალი ოპოზიციონერის გამოსვლა, რომელიც არ იყო არანაირი ფაქტით და მტკიცებულებებით გაჯერებული. ვთვლით, რომ ეს არ იყო იმ პრეზიდენტის გამოსვლა, რომელიც უნდა ასრულებდეს ნეიტრალური არბიტრის როლს. რაც შეეხება მის ახალ პლატფორმას, შეგახსენებთ, რომ მას ადრეც ჰქონდა სურვილი თუ განზრახვა და არც მაშინ გამოუვიდა არაფერი. პლატფორმა რომ შექმნას, ამისთვის პოლიტიკოსს სჭირდება მორალური ავტორიტეტი და სანდოობა. ამ შემთხვევაში, ქალბატონ სალომეს არ გააჩნია მორალური ავტორიტეტი და, შესაბამისად, მისი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული.

თემურ გორგაძე, პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წარმომადგენელი:

- სალომე ზურაბიშვილს დიდ ნაწილში ვეთანხმები, მაგრამ ერთია რიტორიკა და მეორეა ქმედება. უბრალოდ ლამაზი სიტყვების რახარუხი უშინაარსოა. ბევრი ბერკეტი აქვს პრეზიდენტს იმისათვის, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს ემთხვეოდეს. როცა ამბობ, რომ მთავრობამ მარტში „რუსული კანონი“ შემოაგდო, მაგრამ, მინიმუმ,

ამ კანონის წინააღმდეგ პროტესტის ერთ-ერთ სიმბოლოს, ლაზარეს, არ იწყალებ, მინიმუმ, არაგულწრფელი ხარ შენს სიტყვებში. სხვა ბევრი რამ თქვა, რაც მის არაგულწრფელობაზე მიუთითებს. ამიტომ არ მჯერა ქალბატონი სალომეს გულწრფელობის. რაც შეეხება ახალი პლატფორმის შესახებ ამბავს, უშინაარსო მგონია ეს ყველაფერი. მყარი პლატფორმა იქმნება იდეების გარშემო და არა ჰაერზე. ვინმემ იცის, ქალბატონ სალომეს რა იდეა აქვს, ან რა უნდა?! უბრალოდ, მორიგი ლიდერობანას თამაშია წინასაარჩევნოდ, რომელიც განწირულია ჩაფლავებისთვის. არ გამოვა იმ ადამიანისგან ოპოზიციის ლოდერი, რომლის ასარჩევად ბანერებზე კობახიძე და ბიძინა ივანიშვილი იყო გამოკრული.

ლევან ანთაძე, ენმ-ის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე:

- სალომე ზურაბიშვილი, მის წინა გამოსვლებთან შედარებით, ბევრად ადეკვატური გახლდათ. მან აღიარა ქვეყანაში არაერთი მიმართულებით არსებული პრობლემები, რასაც ივანიშვილის ხელისუფლება მძიმე მდგომარეობის შეუსაბამო არასერიოზულობით პასუხობს. ჩვენ,

როგორც პასუხისმგებლიანი ძალა, პატივისცემით ვეკიდებით ინსტიტუციებს და ვაცნობიერებთ მათ როლს ქვეყნის სტაბილურობის თვალსაზრისით, თუმცა აქვე დავძენ, რომ დღეს საქართველოს ჰყავს ანტისახელმწიფოებრივი და ანტიევროპული მთავრობა, რომელსაც არ შესწევს ძალა, გაუმკლავდეს ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა უმუშევრობა, სიღარიბე და კორუფცია. ამიტომ ენმ (გამარჯვების კოალიცია) ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართველ ხალხთან ერთად არჩევნებით შევცვალოთ ისინი.

მადლობა – „მედცენტრის“ ხელმძღვანელობასა და მთელ მედპერსონალს

ასაკოვან ადამიანში საკუთარი ჯანმრთელობის გაუარესება ყოველთვის იმაზე მეტ განცდას იწვევს, ვიდრე ახალგაზრდებში, ამიტომ, როცა ამას წინათ, ადრე დილით, თავის მძაფრმა ტკივილმა გამაღვიძა და წნევის გაზომვისას ცხადი გახდა, რომ არტერიული თითქმის 200-მდე მქონდა, ხოლო გულის - 120, რა თქმა უნდა, სამედიცინო დაწესებულებაში წასვლა აუცილებლად ჩავთვალეთ მეცა და ჩემი ოჯახის წევრებმაც.

სასწრაფო დახმარების ბრიგადა საკმაოდ ოპერატიულად მოვიდა. ექიმმა ეკა მამულაძემ კარგად გამომკითხა, წნევის ასეთი უეცარი მატება რას შეიძლებოდა გამოეწვია, ჩემთან საუბრის შემდეგ კი მირჩია, სამი დღით სტაციონარში გადავსულიყავი, სადაც გამოკვლევებს ჩამიტარებდნენ და ანალიზების საფუძველზე დაადგენდნენ ჰიპერტენზიის შესაძლო მიზეზებს, დამინიშნავდნენ მკურნალობის კურსს.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ „მედცენტრში“ გადამიყვანა. ამ სამედიცინო დაწესებულების ყველა სტრუქტურაში ადამიანურად და პროფესიულად მოეკიდნენ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას. „ემერჯენსიდანვე“ დაიწყო შესაბამისი სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება. ამ საავადმყოფოში, მართლაც, ფუტკარივით შრომისმოყვარე და ერთგული პერსონალია. საკმაოდ სწრაფად გადამიყვანეს პალატაში, გადამიღეს კარდიოგრამა, თავის კომპიუტერული ტომოგრაფია. სამმა ექიმმა - „ემერჯენსის“ ხელმძღვანელმა დათო ხიმშიაშვილმა, ნევროლოგმა ლიანა ქამადაძემ, რომელიც უშუალოდ ჩემი მკურნალი ექიმი გახდა, ასევე, კარდიოლოგმა რენად თეთრაძემ ოპერატიულად განსაზღვრა ჩემი გამოკვლევისა და მკურნალობის ეტაპები. გამიკეთდა გადასხმები, აიღეს სხვადასხვა ანალიზი, მომცეს დანიშნულება, მესამე დღეს კი უკვე გამწერეს საავადმყოფოდან.

მინდა მადლიერების გრძნობით აღვნიშნო „მედცენტრში“ მომუშავე პერსონალის გულისხმიერი და პროფესიონალური დამოკიდებულება როგორც ჩემ მიმართ, ისე სხვა პაციენტების მიმართ, რისი დანახვის საშუალებაც მქონდა. ექიმები, ექთნები, სანიტრები თუ სხვა მომსახურე პერსონალი განსაკუთრებულ, თბილ, ადამიანურ ატმოსფეროს ქმნიან ამ სამკურნალო დაწესებულებაში, რომლის მიმართაც, მართლაც, დიდი ნდობით იმსჭვალები. პალატაში ყოფნისას არ მაკლდა ყურადღება, თბილი დამოკიდებულება, შეკითხვები ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. მადლიერების გრძნობამ მიკარნახა ამ წერილის დაწერა, მინდოდა ყველა მათგანის სახელ-გვარებიც აღმენიშნა, მაგრამ იმდენია, შესაძლოა ვინმე გამომრჩეს, ამიტომ უარი ვთქვი ამ ჩანაფიქრზე.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო „მედცენტრის“ ხელმძღვანელობას და მთელ პერსონალს, განსაკუთრებით „ემერჯენსისა“ და ნევროლოგიურ განყოფილებებს. ვუსურვებ მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, ოჯახურ ბედნიერებასა და წარმატებებს.

სერგო დუმბაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი

„თუ განვითარებაზე ვართ ორიენტირებული, ძველი ბათუმი უნდა დავაკონსერვოთ“

მე-4 გვერდიდან

არ არის საჭირო. მოსახლეობას საპროექტო დოკუმენტაცია ინტერიერსა და ექსტერიერზე კვადრატულობის მიხედვით 600-დან 2000 ლარამდე უჯდება, ამაში სააგენტო ვერ ერევა, საპროექტოს პრეროგატივაა. ვისაც მოაქვს სწორი მეთოდოლოგიით შედგენილი რემონტისა და რესტავრაციის, აივნის გასაკეთებელი პროექტი, საბჭო მას განიხილავს და გავცემთ ნებართვებს.

- მესაკუთრის უფლება უპირველესია, მაგრამ ასე უსასრულოდ ხომ არ შეიძლება გვქონდეს უსახური და მოუვლელი შენობები. მაგალითისთვის დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე დამწვარ და უფანჯრო შენობას მოვიყვან, რომელიც წლებია, ამახინჯებს ტურისტული ქალაქის ცენტრალურ უბანს...

- ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მესაკუთრეა დამნაშავე, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოში, არ გვაძლევს რესტავრაციის უფლებას და ეძებს ინვესტორს. ასეთი შემთხვევების პრევენციისთვის, ვფიქრობ, საჭირო გახდება კანონმდებლობაში გარკვეული შესწორების შეტანა. სააგენტოს პრეროგატივას სცდება ეს საკითხი, ინიცირების უფლება აქვს საქართველოს კულტურის სამინისტროს. ჩემი ინფორმაციით, პარლამენტში ორი წელია მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის კანონში ცვლილებების შეტანაზე მუშაობა. ამ პროცესში ჩვენ არ ვართ ჩართული. ჩემი სურვილია და მგონი ქალაქისთვისაც არ იქნება ურიგო, ვიხელმძღვანელოთ ქალაქ მონპელიეს მაგალითით. პროექტ „მონპელიეს გულის“ ფარგლებში, ქალაქის მუნიციპალიტეტი აწარმოებდა მოლაპარაკებებს კერძო მესაკუთრესთან - არა ექსპროპრიაციით, არამედ საბაზრო ღირებულებით ყიდულობდა მათგან სასურველ ობიექტებს, რომელსაც მესაკუთრე ვერ არემონტებდა. მათ სახელმწიფო უტარებდა რეაბილიტაციას და შემდეგ ყიდდა ასევე საბაზრო ფასად. ეს მოდელი თუ დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში, არ იქნება ურიგო, თუმცა ბიუჯეტს ძალიან დააწვება. ჩვენი სააგენტოს 7-მილიონიანი ბიუჯეტი, საიდანაც მხოლოდ 4 მილიონია გათვალისწინებული რესტავრაციისთვის, ვერ მოაგვარებს ამ საკითხს.

- ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშიც ხომ არის ამ მიმართულებით თანხები გათვალისწინებული?

- სწორედ მათი ინიციატივით, წელს შევიძინეთ ბათუმის აკვარიუმის სრული რესტავრაციის პროექტი. სამხარაულის ექსპერტიზის შემდეგ, ხარჯთაღრიცხვას გადავუგზავნით მერიას. 7 მილიონი ლარია გათვალისწინებული ამ სამუშაოებისთვის. ვფიქრობთ, ამდაგვარად უნდა მოვერგოთ ძველი ბათუმის რეაბილიტაციის პროგრამასაც. ბევრის გაკეთება გვინდა, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გვიშლის ხელს, ცოტა მეტი აქტიურობა და ჩართულობაა საჭირო მათი მხრიდანაც. საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს ძეგლის მესაკუთრეს მის მოვლა-პატრონობას. სამწუხაროდ, მესაკუთრე სახელმწიფოსკენ იშვერს ხელს, ძეგლია ჩემი საცხოვრებელი, მოდი და გამირემონტეო, რაც სწორი მიდგომა არ არის.

- „ამბასადორის“ საკითხიც ძალიან აწუხებთ ბათუმელებს...

- პროექტით რა დაპირებაც იყო გაცემული ინვესტორისთვის, ის 52-სართულიანი შენობა იქნებოდა კატასტროფა. მოლაპარაკებით რაღაც შეთანხმებას მივაღწიეთ ისე, რომ ინვესტორსაც არ ეზარალა.

- მშენებლობების მხრივ ქალაქში სრული ქაოსია... ბათუმის მომავალი როგორ გესახებათ?

- ბათუმში ცათამბჯენების ტენდენცია წლების წინ დაიწყო. მაშინაც ვფიქრობდი და დღესაც ამ აზრზე ვარ: როცა ორი-სამი მაღალი შენობა - „შერატონი“, „ჰილტონი“ და ე. წ. ტექნოლოგიური უნივერსიტეტი გაჩნდა, რაღაც ეტაპი ბათუმში უნდა დასრულებულიყო. სადავოა, არქიტექტურულად რამდენად სწორად გაკეთდა ეს და მოგვწონს თუ არა. ზონალურ საბჭოზე „ორბის“ ორი ახალი პროექტი შევათანხმეთ, რომელიც „ჰილტონსა“ და „მერიოტს“ შორის გაჩნდება. საკმაოდ უცნაური არქიტექტურაა. ვფიქრობ, ამით ამ მონაკვეთზე დასრულდება მშენებლობები. ძველი ბულვარისა და ძველი ბათუმის უბანში მაღლივი კორპუსების მშენებლობა დასრულებულია. ახლა მთავარია, იმ ზონაში როგორი ფასადები და შენობები დარჩება. ქალაქის ახალ დასახლებებში მშენებლობებს რაც შეეხება, საკითხავია, ჩვენი ქუჩათა ქსელი თუ ეყოფა ამ უზარმაზარ საცხოვრებელ კორპუსებს. ქაოსია ტრანსპორტის მიმართულებით, გასათვალისწინებელია განათების, წყლის, სანიაღვრე სისტემების და კანალიზაციის საკითხებიც. ჩვენმა ქალაქმა ტურიზმის არაერთი ჯილდო მოიპოვა. ვფიქრობ, ის განვითარება, რაც ახლა აქვს, ძალიან კარგია და მისაღები. უბრალოდ, ქალაქში არ უნდა იყოს მხოლოდ შუშის კომპლექსები და არ შენდებოდეს იაფიანი პროექტებით სახლები.

გახსენება

შოთა ცეცხლაძე



ერთი წელი გავიდა, რაც მშობლიურმა მიწამ მიიბარა ადამიანი, რომლისთვისაც საქართველო, ქართველი ერი, დედაენა, ეროვნული ადათ-წესები, ოჯახი ყველა განძსა და საფიცარზე ძვირფასი იყო. მან წუთისოფელში ნათელი კვალი დატოვა, მთელი შეგნებული სიცოცხლე საზოგადოებას მოახმარა. იყო საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მინიჭებული ჰქონდა „საპატიო შუახეველის“, „საპატიო მარეთელის“ წოდებები.

თაობამ, რომელსაც შოთა ცეცხლაძე ეკუთვნოდა, წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, აჭარის მთიანეთის ეროვნული მეურნეობის ყველა დარგს უანგარო სამსახური გაუწია. მათთან ერთად 18 წლის ჭაბუკი პედაგოგიურ სარბიელზე დადგა. მუშაობდა მშობლიურ სოფელ დარჩიძეების 8-წლიანი სკოლის ჯერ დაწყებითი კლასების, შემდეგ ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მან იმთავითვე მიიქცია განათლების სისტემის მესვეურთა ყურადღება და რაიონულ სტრუქტურებში სამუშაოდ გადასვლა შესთავაზეს. ეს ის პერიოდია, როცა შუახევის რაიონმა ადმინისტრაციული ერთეულის სახელი აღიდგინა (1965 წლის 5 ნოემბერს), იმ დროს ბატონი შოთა 28 წლის იყო.

ახლად აღდგენილი შუახევის რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ინიციატივიანი, ნიჭიერი, ნოვატორი ჭაბუკი ახალგაზრდების სამსახურში ჩააყენეს. 4 წლის განმავლობაში კომკავშირის შუახევის რაიონული კომიტეტის ჯერ საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შემდეგ კი მეორე მდივნად იმუშავა.

ალალმართალი, შრომისმოყვარე, ქვეყნის ჭირ-ვარამის გამზიარებელი ოჯახის შვილი ყმაწვილობიდანვე დაინტერესდა მშობლიური სოფლის ისტორიით, წარსულითა და აწმყოთი. მომავალ პროფესიად ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა აირჩია. გოგლაურას ციხის ხავსმოკიდებული კედლები, დარჩიძეებსა და მარეთის ხეობის სხვა სოფლებში არსებული ეკლესიების ნანგრევები მის ყურადღებას იქცევდა.

ვინც ნახავს შუახევის რაიონულ გაზეთ „დროშის“ 1969-1970 წლების ნომრებს, აუცილებლად დაინტერესდება იმ პუბლიკაციებით, რომლებიც რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე შოთა ცეცხლაძის ხელმოწერითაა დაბეჭდილი. „დროშის“ რედაქციაში მუშაობა იყო საფუძველი, რომ მეორე პროფესიად ჟურნალისტიკა აერჩია. საამისო განათლება ბაქოში მიიღო. იქიდან მოყოლებული, მისი საქმიანობის არეალი არსებითად შეიცვალა.

ბატონ შოთა ცეცხლაძის, როგორც შემოქმედის, მწერლისა და პუბლიცისტის ხედვა ყველაზე უკეთ 1999-2006 წლებში წარმოჩნდა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაგეგმარებისა და საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგედ მუშაობისას. არქივებზე, წიგნთსაცავებზე წვდომამ უკარნახა, კალამი ხელში აეღო და პირველი მონოგრაფია „შუბანი და შუბნელები“ სამზეოზე გამოეტანა. 2008 წელს თაროებზე გამოჩნდა მისი ავტორობით სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური) შედგენილი წიგნი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების, ქუჩების ძველი და ახალი სახელწოდებები“. მისთვის უცხო არ იყო მშობლიური ხეობის სოფელ მარეთის მკვიდრ შოთა ფუტკარაძის ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია. იგი ტექსილის აჯანყების მონაწილე გახლდათ. „უკვდავი გმირობის თანაზიარი“ - ასეთი სახელწოდების წიგნი უძღვნა თანახეობელის გმირობას. 2011 წელს მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი „ხალხური თვითშემოქმედების მოამაგენი“.

კუთხის წარსულს, წინა საუკუნის 20-30-იანი წლების გამოსვლებს, რეპრესიებს მიუძღვნა წიგნი „რას მოგვითხრობენ საარქივო ჩანაწერები“. გამოსცა წიგნები: „რა ტკბილად ჟღერს ჩემი ჩანგი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნომენკლატურულ პირთა შესახებ“, რომანი „ბედისწერა“. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე კიდევ ორი წიგნით გაამდიდრა თავისი შემოქმედება.

საზოგადოებრივ, შემოქმედებით მოღვაწეობას, მშობლიურ სოფელსა და კუთხეზე თავდაუზოგავ ზრუნვას ბატონი შოთა შესანიშნავად უთავსებდა ღირსეული ოჯახის წინამძღოლობას. ვაჟების - ბადრის, დავითისა და ქალიშვილ მზიას სახით ქვეყანას ღირსეული შვილები აღუზარდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ერთგული თანამეცხედრე ხელიდან გამოეცალა. უდავოდ, დიდია მისი როლი საქველმოქმედო ფონდ „შუბნის“ დაარსებასა და გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.

იგი არ იყო ერთი სოფლის, ერთი ხეობის მოამაგე და მემატიანე. ეროვნული ადათ-წესების უბადლო ქომაგი, ქართული სიტყვის დამცველი კიდევ ერთ წიგნზე მუშაობდა, მაგრამ მისი დასრულება აღარ დასცალდა.

ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ვგრძნობთ ღირსეული მამის, ოჯახსა და ქვეყანაზე მოდარდე და მზრუნველი ადამიანის დანაკლისს. ნუგეშად მისი საქმეები და სახელი გვრჩება, რომელსაც დავიწყება არ უწერია. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს!..

შოთა ცეცხლაძის ოჯახი

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/02/24, 18 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ირაკლი კახიძის ფონდი ამოქმედდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ერთი თვეც არაა, რაც უცხოეთში აღიარებულმა ქართველმა ტენორმა, ჩვენმა საამაყო თანაქალაქელმა ირაკლი კახიძემ, მეუღლე დიანა გოგოჭურთან ერთად, ფონდი დააფუძნა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს საოპერო ხელოვნებაში გზის გაკვალვაში დაეხმარება



ფონდის პრეზენტაცია ბათუმში რამდენიმე დღის წინ შედგა, რომელსაც სხვებთან ერთად ფონდის მიერ მოწვეული საერთაშორისო საოპერო სააგენტო „აი ო ეი მენეჯმენტის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი კალე კანტილა ესწრებოდა.

ბატონ კალეს აქვს სააგენტო, რომელიც 2012 წელს მიუნხენსა (გერმანია) და ჰელსინკში (ფინეთი) ერთდროულად დაარსდა. იგი ერთ-ერთი უდიდესი, მნიშვნელოვანი და გავლენიანი სააგენტოა ევროპაში, რომელიც არა მხოლოდ გერმანიის, არამედ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო საოპერო თეატრებთანაც აქტიურად თანამშრომლობს როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. თავად კალე კანტილა ფინეთშია დაბადებული. ის წარმატებით მოღვაწეობდა მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრის სპექტაკლებში, დღემდე ატარებს მასტერკლასებს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

კალე კანტილამ ბათუმში ყოფნის პირველ დღეს სტუდენტებისა და საოპერო სოლისტებისთვის მასტერკლასი ჩაატარა, იმავე და მომდევნო დღეს კი მოსმენები გაიმართა. ის ბათუმში, რა თქმა უნდა, ირაკლი კახიძის ფონდის მოწვევითა და ინიციატივით ჩამოვიდა. ყველამ, ვინც მასტერკლასსა და მოსმენაში მონაწილეობდა, ერთხმად აღნიშნა, რომ ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, რომელსაც ფონდი საოპერო სფეროს წარმომადგენლებს აძლევს - მატერიალური ხარჯის გარეშე, ადგილზე, ქალაქიდან გაუსვლელად მონაწილეობა მიიღონ მაღალი დონის მასტერკლასში, ასევე, საერთაშორისო საოპერო სააგენტოს მოსმენაში, სადაც შერჩევის შემთხვევაში, ისინი მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრში დასაქმდებიან. სტუდენტების შერჩევის შემთხვევაში, სწავლის დამთავრების შემდეგ, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, სტაჟირება მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო სტუდიაში გააგრძელონ, სადაც დაენიშნებათ სტიპენდია, ასევე, შეეძლებათ მონაწილეობა სპექტაკლებში საოპერო მომღერლებთან ერთად.

ამ მაღალი დონის მოსმენამ, რომელშიც სტუდენტებთან ერთად ბათუმის საოპერო დასის სოლისტები, ასევე თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრების სოლისტები მონაწილეობდნენ, პირველი შედეგი უკვე გამოიღო - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ვოკალური განყოფილების სტუდენტი ირაკლი ჯინჭარაძე უახლოეს მომავალში გერმანიაში გაემგზავრება. აქ კალე კანტილასთან მოსამზადებელი მასტერკლასის გავლის შემდეგ, მას „ა“ კლასის საოპერო თეატრის სტუდიაში მოუსმენენ, რის შემდეგაც უცხოეთში გაივლის სტაჟირებას.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტი ეთერ ხალვაში კი მიწვეულია გერმანიაში კალე კანტილას მასტერკლასზე და ახალ რეპერტუარზე სამუშაოდ, რაც მას ევროპაში შემოქმედებითი გზის წარმატებით გაგრძელებაში დაეხმარება. ბათუმური მოსმენის შემდეგ გერმანიაში, ბავარიის აკადემიაშია მიწვეული ჩვენი საოპერო დასის სოლისტი ირმა ჟღენტი, სადაც კალე კანტილასთან მომზადების შემდეგ, ჰანოვერის თეატრში მოუსმენენ.

მნიშვნელოვანია, რომ ირაკლი ჯინჭარაძის, ეთერ ხალვაშისა და ირმა ჟღენტის მგზავრობისა და დაბინავების, იქაური მასტერკლასის (ნაწილობრივ) ხარჯებს ირაკლი კახიძის ფონდი დაფარავს.

ასე რომ, ჩვენი თანაქალაქელის მიერ დაარსებული ფონდი უკვე ამოქმედდა და პირველი და სერიოზული ნაბიჯი გადადგა - ჩვენი სამი მომღერალი, ფონდის დახმარებით, უცხოეთს ეწვევა და შემოქმედებით გზას იქ გაიკვალავს.

ქალები – ქალების გაძლიერებისათვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ასოციაციასთან „ქალები რეგიონების განვითარებისათვის“ არსებული ქალთა კლუბების ორგანიზებით, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტმა ზუგდიდის ქალთა კლუბის წევრის, დიზაინერ სოფიო ხარჩილავას ჩვენებას სახელწოდებით „სამი საუკუნე - 19/20/21“ უმასპინძლა

საქართველოსა და ასევე ევროპაში ცნობილმა დიზაინერმა დეფილეზე ტრადიციული და თანამედროვე ტექნიკით შესრულებული ლუქები წარადგინა და როგორც აღნიშნა, თითოეულ ეგზემპლარში ჩანს მისი შინაგანი სამყარო, სიცოცხლის, ადამიანებისა და სიყვარულისადმი ფაქიზი დამოკიდებულება.

- დღეს არაჩვეულებრივი ქალაქის სტუმარი ვარ, რომელიც იმდენად მიყვარს, რომ ყოველთვის მსურდა, ამ პატარა, ლამაზ ქალაქში მომეწყო ფერადი ემოციებით სავსე დღესასწაული. ჩემს ჩაცმულობასაც ეტყობა, როგორ ამაღლებულ განწყობაზე ვარ - ბრჭყვიალა ლუქი მაცვია და სულშიც იგივე მდგომარეობა მაქვს. ბათუმს სულ შეუძლია ბედნიერება მოგგვაროს, განწყობა აგიმაღლოს და გაგრძნობინოს, რომ უყვარხარ, ენატრები. ხშირად მისვამენ კითხვას, რატომ გავაერთიანე ერთ დეფილეზე სამი საუკუნე, მე კი ვპასუხობ: ამით მინდა კაცობრიობას ვაჩვენო, რომ სამივე საუკუნეში ქალი იყო ლამაზი, ის მუდმივად ისწრაფოდა თავისი თავის უკეთესი ვერსიის შექმნისაკენ. მინდა მადლობა ვუთხრა ხელოვნების უნივერსიტეტს, სადაც ჩავატარეთ საღამო. ეს არის ჯადოსნური სივრცე, სადაც ადამიანები ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას ეუფლებიან. დიზაინი არ არის მხოლოდ მოდა, ეს არის მუნჯის ენა, რომელიც მეტყველების გარეშე ახერხებს გითხრას, რომ სამოსელი შენი ანარეკლია, რომ შენ ბედნიერი ხარ. ყველა ფერი ხომ თავის საინტერესო ამბავს ჰყვება დედამიწაზე. მე ვარ საოცარ ქალთა გუნდის - ზუგდიდის ქალთა კლუბის წევრი. ჩვენ, წარმატებული ქალები, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ვცდილობთ, ისეთი აქტივობა ჩავატაროთ, სადაც შევძლებთ, რაღაც კუთხით წარმოვაჩინოთ, როგორი ძლიერია ქალი და რა შეუძლია მას. მნიშვნელოვანია, ადამიანებმა ისწავლონ ცოდნის გაზიარება, გაცემა. მინდა, ხელოვნების უნივერსიტეტიდან ერთი სტუდენტი რამდენიმე დღით მივიღო ჩემს სახელოსნოში, სადაც დაეუფლება ძალიან ბევრ იმ საიდუმლოს, რომელსაც დიზაინერები რუდუნებით ვინახავთ და ვუფრთხილდებით. აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმის ქალთა კლუბს ასეთი მშვენიერი ღონისძიების ორგანიზებისათვის. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, ყოველი შეხვედრა იყოს საგანმანათლებლო და საინტერესო. მინდა ქალებს შევახსენოთ, რომ ისინი ძალიან ნიჭიერები არიან, უსაზღვრო შესაძლებლობებით, - გვითხრა Brend Sonia Kh Archi-ს დამფუძნებელმა, დიზაინერმა **სოფიო ხარჩილავამ,** რომელიც 22 წელია, ქართულ და ევროპულ სამოდელო ბაზარზე მოღვაწეობს.

შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მიზანი განათლების ხელშეწყობა და ცოდნის გაზიარება იყო. უნივერსიტეტის მიერ შერჩეული ერთი სტუდენტი გოგონა რამდენიმე დღით ზუგდიდში გაემგზავრება და დიზაინერის სახელოსნოში მასტერკლასს გაივლის. ამ გადაწყვეტილებისთვის ქალთა კლუბის პრეზიდენტმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ხეცურიანმა** მადლობა გადაუხადა დიზაინერს და დასძინა, რომ ეს ნაბიჯი კიდევ არაერთი ქალის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

- ბათუმი მასპინძლობს ქალთა კლუბის ერთ-ერთი უნიჭიერესი წევრის, დიზაინერ სოფიო ხარჩილავას დეფილეს. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორს, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტს, რომელმაც ეს არაჩვეულებრივი სივრცე დაგვითმო. ვფიქრობ, ჩვენებაზე დამსწრე ყველა ადამიანმა ძალიან ისიამოვნა. ჩვენი ქალთა კლუბი აერთიანებს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, ერთი თაობის წარმატებულ ქალებს, რომლებმაც საზოგადოებაში უკვე დაიმკვიდრეს

გარკვეული ადგილი. რაც მთავარია, ყველა მათგანს აერთიანებს საერთო ღირებულებები, საერთო მისწრაფება და ეს არის სიკეთის კეთების, ქალების გაძლიერების სურვილი. ჩვენი მიზანია, ერთად ყოფნით უკეთესობისკენ შევცვალოთ სამყარო, - აღნიშნა მაკა ხეცურიანმა.

საჯაროდ კითხვის დღე – „წიგნები გაჯეტების ნაცვლად“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა კვირეულით შეუერთდა, რომლის ფარგლებში 7 თებერვალს გაიმართა შეხვედრა ნორჩ მკითხველებსა და მშობლებთან სლოგანით - „წიგნები გაჯეტების ნაცვლად“. საჯარო ბიბლიოთეკას ეწვივნენ მახინჯაურის საჯარო სკოლის მესამე ბ კლასის მოსწავლეები, რომლებმაც მთავარ ბიბლიოთეკარებთან - ნანა კვაჭაძესა და ლელა სურმანიძესთან ერთად საჯაროდ წაიკითხეს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები და ბესიკ კეკელიძის მოთხრობრები.

საჯარო კითხვაში, ბიბლიოთეკარებთან ერთად, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, მათ შორის ელიტური სკოლა „გორდას“, კერძო სკოლა „ნიკეს“, სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“, ფერიისა და ბათუმის №15 საჯარო სკოლების მოსწავლეები.

კერძო სკოლა „განათლებაში“ გაიმართა წიგნის ბაზრობა, რომელზეც მოსწავლეებმა მათთვის საინტერესო წიგნები წარმოადგინეს და სტუმრებს კითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

ბიბლიოთეკაში მშობლებმა და შვილებმა ერთად წაიკითხეს გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „თევზის წერილები“.